ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## გედევან ფოფხაძე: „ჰააგის გადაწყვეტილება ტერიტორიების დასაბრუნებლად საკმარისი არ იქნება“

გვ.3



ორშაბათი, 1 თებერვალი, 2016 №25 (6951) ფასი: 50 თეთრი

# ომარ ნიშნიანიძე: „ქართული ოცნება“ პროტესტის ნიშნად პარლამენტს დატოვებს“



## დაკანონდება თუ არა ერთსქესიანთა ქორწინება

გვ.2





გვ.4

## ნანა კაკაბაძე: „ელისაშვილი პატიმრებს გარკვეული ინტერესების გამო ათავისუფლებდა“

## გორის მაჟორიტარი შიდა ქართლის გუბერნატორის წინააღმდეგ

გვ.4





## „ბანკისში ტერორისტული ბაზა არ არის“

გვ.2



პრეზიდენტი დუისში მოსახლეობას შეხვდა

ISSN 1987-9385



## პატრიოტთა ალიანსი ერთიან ფრონტს ქმნის

გვ.6

## თვითმმართველობებში ინვესტორებს, როგორც დამპყრობლებს, ისე უყურებენ

გვ.5

# ომარ ნიშნიანიძე: „ქართული ოცნება“ პროტესტის ნიშნად პარლამენტს დატოვებს“

შორენა მარსაგიშვილი

როდის შევა პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების შესახებ, რა კავშირი აქვს ამ საკითხის გააქტიურებას ღარიბაშვილის წასვლასთან, რას აპირებენ მეოცნებეები და ნაციონალები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ომარ ნიშნიანიძე ესაუბრება.



**დაკანონდება თუ არა ერთსქესიანთა ქორწინება**

***– გავრცელებული ინფორმაციით, უახლოეს ხანებში პარლამენტში შემოვა საკანონმდებლო ინიციატივა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების შესახებ. ამასთან დაკავშირებით თქვენ თუ ფლობთ დამატებით რაიმე ინფორმაციას?***

– პარლამენტში ასეთი ინიციატივა ჯერ შემოსული არ არის. ლგბტ ორგანიზაციებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს და არსებული ნორმის შეცვლა მოითხოვეს. დღეს არსებული ნორმით ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ამის შედეგად ეს საკითხი ძალიან აქტუალური გახდა.

***– და ადრე თუ გვიან ამაზე პარლამენტსაც მოუწევს მსჯელობა.***

– მე არ მესმის, რატომ უნდა გააქტიურდეს ეს საკითხი ან რატომ უნდა მოხდეს პარლამენტში ამ თემის განხილვა. ქართველთა მენტალობაში მყარად ზის, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ვინმე თუ დაიჩემებს, რომ ევროპაში სხვანაირად არის, ვეტყვი, რომ ბევრ ევროპულ ქვეყანაშიც ასეა – ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ასე რომ, ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი არ არის, ვიღაცამ ძალიან რომ შეიცხადოს.

ჩვენ ჩვენს წარსულსა და მენტალობას პატივი უნდა ვცეთ და კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი არ უნდა შეიცვალოს. დანარჩენი ჩვენი საქმე არაა, ერთსქესიანები ერთად თუ იცხოვრებენ. ჩვენ არანაირი უფლება არა გვაქვს სახლებში და მით უმეტეს საწოლებში შევუცვივდეთ. ისე უქნიათ, კისერი უტეხიათ.

აქვე დავაფიქსირებ იმასაც, რომ ლგბტ პირების მიმართ ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი ვარ. ამასთან დაკავშირებით ანტიდისკრიმინაციული კანონიც კი მივიღეთ. მისთვის მხარის დაჭერა ბევრს არ უნდოდა. მაშინ რაღაც დათმობაზე წავედით და ახლა ნამეტანიც არ მოუვიდეთ მაგათ. ახლავე იცოდნენ, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე წამსვლელები ჩვენ არა ვართ.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ამაზე არ წავა პარლამენტი? თავად თქვით, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებაც არ გვინდოდა, მაგრამ რაღაც დათმობაზე წავედითო.***

– ანტიდისკრიმინაციული კანონი ცოტა სხვა რამეა, ვიდრე ეს ქორწინება. დიპლომატია ისაა, რომ შეგიძლია უკან გადადგა ერთი ნაბიჯი, თუ სამაგიეროდ 2-ის წინ გადადგმა შეგიძლია. მთავარია, კიბორჩხალასავით უკან-უკან არ იარო. ჩვენ წინ გვინდა წასვლა, ასე რომ, უკან-უკან ვერ ვივლით.

ოპონენტები, ალბათ, იტყვიან, წინ თუ მივდივართ, ამ კანონს რატომ არ იღებთო. მოიცათ, ვინმეს ჰგონია, რომ ევროპაში ერთსქესიანთა ქორწინების გარეშე არ მიგვიღებენ. დამიჯერეთ, ეს არ არის დასავლური აზროვნების განმსაზღვრელი. ავიღოთ თუნდაც იაპონია. ეს ქვეყანა თავის ტრადიციებს ძალიან უფრთხილდება, მაგრამ მათზე ვერავინ იტყვის, რომ პროგრესს არ განიცდიან და დასავლური ღირებულებებით არ ცხოვრობენ. ამის მაგალითია სამხრეთ კორეაც.

ჩვენც ასე მოვიქცეთ, ვიაროთ პროგრესითა და დასავლური ღირებულებებით, ოღონდ იმ ღირებულებებით, რომლებიც ჩვენთანაც ღირებულია.

***– თქვენ არ გვიპასუხეთ კითხვაზე, მიიღებს თუ არა ამ კანონს პარლამენტი?***

– ეს გამორიცხულია, რადგანაც ამ გადაწყვეტილებას დეპუტატები მხარს არ დაუჭერენ. ჩემი კოლეგების უმეტესობა ასეთ განწყობაზეა. მსჯელობა შესაძლოა დაიწყოს, ოპოზიციას უამრავი უაზრო ინიციატივა შემოუტანია პარლამენტში.

ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ თემაზე მსჯელობასაც კი გვერდი ავუაროთ, მიღებაზე ზედმეტია ლაპარაკი. ვაცხადებ ღიად, რომ თუ კანონს მიიღებენ, პროტესტის ნიშნად პარლამენტს დავტოვებ. დარწმუნებული ვარ, უმრავლესობა ასე მოიქცევა.

***– ჩემი კოლეგების უმეტესობა ამ კანონს მხარს არ დაუჭერსო ამბობთ, კოლეგებში მარტო ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ მოიაზრებთ თუ მთელ კოალიციას?***

– ამ შემთხვევაში მთელი კოალიცია მაქვს მხედველობაში. არა მგონია, ამას მხარი დაუჭიროს ვინმემ.

***– თუმცა თქვენს კოალიციაში არიან ძალები, რომლებიც ლიბერალურ ღირებულებებს უჭერენ მხარს. ამ ძალის წარმომადგენლებმა რამდენიმე თვის წინ ლგბტ დროშებიც კი აფრიალეს. ისინიც არ დაუჭერენ საკონსტიტუციო ნორმის შეცვლას მხარს?***

– ის დროშა ჟურნალისტების თხოვნით დაიკავეს. არა მგონია, მათ ნორმის შეცვლა მოისურვონ. თუ მოისურვებენ, უმცირესობაში დარჩებიან. ალბათ, ყველა მიხვდება, ვისზე ვსაუბრობთ და ბარემ ვთქვათ, რომ ისინი რესპუბლიკელები არიან. მსჯელობაში, ალბათ, აუცილებლად ჩაერთვებიან, მაგრამ ამის იქით აღარ წავლენ.

***– ამ საკითხის გააქტიურება არჩევნების წელს რატომ მოხდა, ვინმეს ლგბტ პირების ხმების მოზიდვა სურს თუ ეს, უბრალოდ, დამთხვევაა?***

– ამაზე ზუსტი პასუხი არა მაქვს. არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცას სურს, ლგბტ პირე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „პანკისში ტერორისტული ბაზა არ არის“

30 იანვარს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პანკისის ხეობა მოინახულა.

მასთან ერთად იყვნენ აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩები იან კელი და იანოშ ჰერმანი.

– ეთნიკური განსაკუთრებულობა, რომელიც პანკისის ხეობაშია, უნდა გახდეს ერთიანი ქართული კულტურის შემადგენელი კიდევ უფრო აქტიური ნაწილი, – განაცხადა პრეზიდენტმა მოსახლეობასთან შეხვედრისას.

ქვეყნის პირველმა პირმა პანკისის მცხოვრებ თამარ თურქოშვილს ქართველი საზოგადოებისა და პანკისის ხეობისთვის გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის ღირსების ორდენი გადასცა.

56 წლის თამარ თურქოშვილი 9 წელია, ომალოს ავარიულ ბიბლიოთეკას ანაზღაურების გარეშე უვლის.

– გულმა თქვენკენ გამომიწია, მაგრამ მარტო არ ჩამოვედი, ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ ამერიკისა და ევროკავშირის ელჩები, რადგან მათაც მინდა ვაჩვენო ის მხარე, ის ხალხი, რომლითაც ყველანი ვამაყობთ. ის შრომისმოყვარეობა, ის ურთიერთობა, სტუმართმასპინძლობა, რომელსაც ჩვენ აქ ვაჩვენებთ, რომელიც საამაყო გვაქვს არა მხოლოდ ქართველობაში, მთელ საერთაშორისო პარტნიორებთან და მეგობრებთან, – განაცხადა პრეზიდენტმა.



**პრეზიდენტი დუისში მოსახლეობას შეხვდა**



გიორგი მარგველაშვილის თქმით, მისი წარმომადგენელი პანკისის ხეობაში ბევრ პროექტს ახორციელებს და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

პრეზიდენტი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებასაც შეეხო, რომელმაც პანკისის ხეობა ისლამური სახელმწიფოს მებრძოლთა თავშესაფრად მოიხსენია.

– გვაქვს ინფორმაცია, რომ ისლამისტები ამ რთულად მისაღწევ ტერიტორიას წვრთნებისა და საკუთარი რეზერვების შესავსებად იყენებენ, – განაცხადა ლავროვმა რამდენიმე დღის წინ.

მისი თქმით, პანკისის ხეობიდან მომავალი ტერორისტული საფრთხე არ გამქრალა, რამაც რუსეთი იძულებული გახადა, საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გაემკაცრებინა.

ამის საპასუხოდ გიორგი მარგველაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ პანკისის ხეობაში სრული სიმშვიდეა.

– თქვენი თვალით შეგიძლიათ ნახოთ, როგორი სიმშვიდეა აქ. აქაური მცხოვრებლები ამბობენ, რომ ასეთი მშვიდი გარემო, სადაც კრიმინალი საერთოდ არ არსებობს, სხვა ადგილებში ნაკლებად არის, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ხეობის ერთ-ერთმა უხუცესმა გიორგი მარგველაშვილს ლავროვის განცხადება შეახსენა და თქვა, რომ პანკისის ხეობაში არაფერი ხდება და აქ სრული სიმშვიდეა.

– ეს აბსურდია, ტყუილია, მაგრამ ამ რუსულ პროპაგანდას აქვს მიზანი. როგორი წმინდა ადამიანიც არ უნდა იყოს, როდესაც მას ცილს დასწამებ, რაღაცა მაინც ყოველთვის რჩება და ხალხის გარკვეული ნაწილი მაინც იჯერებს. ნელი მოქმედების ბომბია ჩადებული აქ და როცა სურთ, პროვოკაცია შეუძლიათ წამოიწყონ. ყოველთვის ვაყენებდით საკითხს, რომ პანკისში პრევენციული ზომები გატარებულიყო და არ ყოფილიყო ასეთი აჟიოტაჟი ატეხილი ჩვენი ხეობის ირგვლივ, – განაცხადა უხუცესთა კავშირის წევრმა ხასო ხანგოშვილმა.

– ბატონი ლავროვიც ხომ არ დავპატიჟოთ აქ ჩამოსასვლელად, – უთხრა პრეზიდენტმა უხუცესს.

ჟურნალისტმა მარგველაშვილს ჰკითხა, თუ რა თემებზე შეიძლება საქართველოს პირველი პირი რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელს ესაუბროს.

– რას მეკითხებით?! ლავროვთან პირველმა პირმა რატომ უნდა ისაუბროს?! ლავროვს ჰყავს თავისი ვიზავი, საგარეო საქმეთა მინისტრი, – უპასუხა ჟურნალისტს პრეზიდენტმა.

პანკისის ხეობისა და ლავროვის განცხადების შესახებ აშშ-ის ელჩმა იან კელიმაც ისაუბრა.

– საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და პრეზიდენტმა ძალიან გარკვევით გასცეს პასუხი ბრალდებებს ტერორისტული ბაზების არსებობის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატები, ცხადია, საქართველოსთან მჭიდროდ თანამშრომლობს ტერორიზმთან ბრძოლაში. მე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ პანკისში ტერორისტული ბაზა არ არის, – განაცხადა იან კელიმ.

კომენტარი იანოშ ჰერმანმაც გააკეთა.

– პანკისის ხეობაში პირველად ვარ, ვეცნობით ვითარებას. ყველამ გვითხრა, რომ არანაირი საფრთხე არ არსებობს და რაიმე მსგავსი არც მე შემიმჩნევია. იმაზე, რაც ბატონი ლავროვის განცხადებაში იყო ნაგულისხმევი. საქართველოს ხელისუფლებას ძალიან სწრაფი და ნათელი პასუხი ჰქონდა, ასე რომ ამ თემაზე დამატებით კიდევ რაიმეს თქმა საჭირო არაა, – განაცხადა იანოშ ჰერმანმა.

პანკისის მოსახლეობასთან შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი, პრეზიდენტის მრჩევლები სოფიო შამანიდი და ალექსანდრე ბარბაქაძე, უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძე და კახეთის მხარის რწმუნებული ირაკლი შიოლაშვილი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გედევან ფოფხაძე: „ჰააგის გადაწყვეტილება ტერიტორიების დასაბრუნებლად საკმარისი არ იქნება“

გულიკო ბალაძე

რა შედეგს უნდა ველოდოთ ჰააგის გამოძიებისაგან, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა აგვისტოს ომზე, ყოველივე იმაზე, რაც მოხდა? – ამ თემაზე დეპუტატმა გედევან ფოფხაძემ „ახალი თაობის“ კითხვებს უპასუხა.



***– იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ საკმარისზე მეტი მტკიცებულებები არსებობს იმისათვის, რომ დამტკიცდეს მხარეთა მიერ ჩადენილი დანაშაულები. თქვენ რაღაც გულგატეხილი საუბრობთ. ეჭვი გაქვთ, რომ ამ გამოძიებით შედეგს ვერ მივიღებთ?***

– ეჭვი არ მაქვს, ვიცი, რომ ამგვარ პროცესებში უფრო მეტია საჭირო, ვიდრე რეალურად გაგაჩნია სიმართლის დასამტკიცებლად. არანაირი ეჭვი არ მაქვს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მხარე ძალიან ღირსეულად წარდგება. არ მინდა, ვინმე პესიმისტურად განეწყოს. საქართველოს წარმატებაში ეჭვი არ მეპარება. უბრალოდ, იმასთან დაკავშირებით, რაც ჩვენთვის ისეა, როგორც ორჯერ ორი ოთხი, ზოგადად კითხვის ნიშნები მაინც ისმებოდა, რუსეთი მაინც ყოველთვის აღწევდა ამ საკითხის ისე შემობრუნებას, რომ საერთაშორისო საზოგადოებისა და ჩვენთვის ანგარიში არ გაეწია. ამგვარი ვითარება ჩვენზე უარყოფითად აისახება და ადამიანებს იმედი ეკარგებათ, რომ ობიექტური გადაწყვეტილება იყოს მიღებული, თუმცა ჰააგის სასამართლოსთან დაკავშირებით ჯერჯერობით არ მაქვს ასეთი განწყობა. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ მხარეს ექნება საკმარისი მტკიცებულებები.

***– რამდენადაც ჩემთვის სარწმუნო წყაროსაგან ცნობილია, იმ მასალებში, რომლებიც პროკურორმა ფატუ ბენსუდამ გადასცა სასამართლოს, ტალიავინის კომისიის დასკვნაცაა, სადაც წერია, რომ პასუხისმგებლობა ყველა მხარეს ეკისრება. ამგვარმა დასკვნამ გაიჟღერა ახლანდელ განცხადებებშიც, რაზეც, სხვათა შორის, თავდაცვის მინისტრმა უკმაყოფილება გამოხატა. როგორ ფიქრობთ, ამგვარ დასკვნებს გავლენა ექნება შედეგებზე?***

– ომის შემდეგ ყოველთვის არის შესაძლებლობა, მომხდარი ერთმა მხარემ მეორე მხარეს გადააბრალოს. რუსეთი ასეც იქცეოდა იმისათვის, რომ ქართული მხარე დაედანაშაულებინა. დავუშვათ, ქართული მხარე მართლაც აჰყვა პროვოკაციას, გადადგა ისეთი ნაბიჯები, რომელიც, ჯობდა, არ გადაედგა და ისეთი გამოსავალი ეპოვა, რომელიც მოახდენდა მეორე მხარის ლუსტრირებას. თუნდაც საქმე ეხებოდეს იმ ხელისუფლებას, რომელიც ჩემთვის დანაშაულებრივია და არც გონება ჰქონდა იმისა, რაიმე გაეკეთებინა, არ შეიძლება, ერთი მხარე მეორეს მუდამ ბომბავდეს, მის ტერიტორიაზე ამაზრზენად და ცინიკურად იქცეოდეს და არაფერში დამნაშავე არ იყოს.

არ მიმაჩნია საძრახად, სამხედრო ცდაც რომ ყოფილიყო. სხვა საკითხია, რომ სააკაშვილი სამარცხვინო სარდალი და სამარცხვინო პიროვნებაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათთან ერთად ომში მონაწილეობას არ მივიღებდი, თუ დამიძახებდნენ.



ყველა ხელისუფლების პოზიტიური ვალდებულებაა, დაიცვას თავისი ტერიტორიული მთლიანობა. რაც ცხინვალის რეგიონში ხდებოდა, არ შეიძლება, იმაში საქართველო დავადანაშაულოთ.

რეალურად, რუსეთი მუდამ პროვოკაციებს გვიწყობდა. დღესაც, ფაქტობრივად, იმავეს აკეთებს, საოკუპაციო ხაზს აქეთ გადმოდის და პროვოკაციებს გვიწყობს. შეიძლება უპრიანია, არ ავყვეთ. ხელისუფლების გამტყუნება იმაში, რომ თავისი მოვალეობა შეასრულა, არ მიმაჩნია სწორად.

***– ამ კონტექსტში როგორ აფასებთ ლავროვის ამასწინანდელ განცხადებას, რომ სააკაშვილი საკუთარ ტერიტორიაზე თავისივე ხალხს დაესხა თავს?***

– ერთია, როგორი ხელისუფლება გვყავს (შეიძლება გვყავდეს ცუდი ან კარგი ხელისუფლება), მეორეა ურთიერთობა მეზობელ ქვეყანასთან. ცუდი ხელისუფლება თუ გვყავს, ეს იმას არ ნიშნავს, მეზობელმა ქვეყანამ უნდა დაგვბომბოს. სააკაშვილის ავკარგიანობა ქართველი ხალხის გადასაწყვეტია და არა – ლავროვის.

თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, უნდა ვეძებოთ გზები რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად. არ შეიძლება ისეთი პოზიციის დაკავება, რომ რუსეთი მტერია და არ შეიძლება მოლაპარაკებების წარმოება. ყოველთვის უკეთესია დიპლომატიის ბოლო რესურსის გამოყენება, ვიდრე ომის წარმოება და დაპირისპირება ვინმესთან. ჩვენ გვინდა, ობიექტური ჭეშმარიტება მესამე მხარემ დაადგინოს. ამ მიმართულებით კითხვის ნიშნები ჩვენთვის არ უნდა არსებობდეს.

***– თუ საერთაშორისო გამოძიების შედეგად დადგინდება ობიექტური ჭეშმარიტება და რუსეთის ბრალეულობა, რა შედეგს მივიღებთ და რა დივიდენდების მომტანი იქნება საქართველოს სახელმწიფოსთვის?***

– ნებისმიერი საერთაშორისო აქტი, მით უმეტეს, ჰააგის სასამართლოს სამართლებრივი აქტი, ჩვენთვის გარკვეული სამართლებრივი გარანტიაა, რომ არ მოხდეს ჩვენი ქვეყნის საბოლოო ანექსია. საქართველო ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავისუფლებადაკარგული იყო. დამოუკიდებლობის იმ აქტმა და კონსტიტუციამ, რომელიც პირველმა რესპუბლიკამ დაგვიტოვა (და ემიგრაციაში წავიდა), შექმნა წინაპირობა, ქართველი ხალხი გამოსულიყო ქუჩაში და მოეთხოვა დამოუკიდებლობის სამართლებრივი მემკვიდრეობის აღდგენა. ყველა სამართლებრივი აქტი წინაპირობაა იმისა, რომ, საბოლოო ჯამში, სამართლიანობა აღდგეს. მართალია, ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო, მაგრამ სამართალსა და სამართლიანობაზე დიდი ძალა არ არსებობს. ამიტომ, როგორც უნდა დაგვჩაგროს ჩვენმა დიდმა მეზობელმა, თუ ყველა სამართლებრივ წინაპირობას შევქმნით, ჩვენ გავმართლდებით და ის გამტყუნდება, ისტორიული განვითარების რაღაც ეტაპზე თავის შედეგს მაინც გამოიღებს.

***– თუ ჰააგის სასამართლო დაადგენს რუსეთის ბრალეულობას, ეს მას უკან დაახევინებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებით?***

– მხოლოდ ეს აქტი საკმარისი არ არის. ამისთვის ჩვენ უნდა შევქმნათ წინაპირობები. საბოლოო ჯამში, რუსეთს რა დაახევინებს უკან? მსოფლიო პოლიტიკა ვითარდება და რუსეთიც დადგება იმ რეალობის წინაშე, რომ მას მოუწევს, იყოს არა ევროპის ჟანდარმი, არამედ მსოფლიოს საერთაშორისო პოლიტიკის ნაწილი. რუსეთს მოუწევს, აღიაროს ის წესები, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკაშია დამკვიდრებული.

# ომარ ნიშნიანიძე: „ქართული ოცნება“ პროტესტის ნიშნად პარლამენტს დატოვებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბის ხმებზე ინადიროს და ამ თემის გააქტიურებით მათი გულის მოგებას ცდილობენ, იმას კი ვერ საზღვრავენ, რომ შესაძლოა საპირისპირო შედეგი მიიღონ.

***– საპირისპირო შედეგში რას გულისხმობთ?***

– საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ტრადიციული ორიენტაციისაა და, თუ ჩვენ ამ ნორმის შეცვლის წინააღმდეგი ვიქნებით, ცხადია, მხარდამჭერები მოგვემატება. ვიღაცებს ტყუილად აქვთ იმედი.

***– პრემიერის პოსტზე ყოფნისას ირაკლი ღარიბაშვილი ღიად აცხადებდა, რომ ოჯახი მხოლოდ ქალისა და კაცის ერთობა შესაძლოა იყოს. თქვენი აზრით, უკავშირდება თუ არა ამ თემის წინ წამოწევა მის გადადგომას?***

– არ არის გამორიცხული, რომ ამ პროცესის დაწყებას ღარიბაშვილის გადადგომამაც მისცა პატარა ბიძგი და თუ ვინმეს რამის მოლოდინი აქვს, ძალიან შემცდარა.

***– რა პოზიციას დაიკავებს ამ საკითხზე ნაციონალური მოძრაობა? ვიცით, რომ მათ არ ეკონტაქტებით, მაგრამ რაღაც მაინც გექნებათ პარლამენტში გაგონილი.***

– მათთან როგორ უნდა ვიკონტაქტო? მათთან არც ამ და არც სხვა თემებზე საუბარი არ მქონია. წინასწარ რამის თქმა ძნელია, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების დიდი წინააღმდეგი არ წავლენ, არც იმას გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე მათგანში გაიღვიძოს კაცურმა მომენტმა და წინააღმდეგი წავიდნენ.

***– ვისზე გაქვთ ეჭვი, რომ მასში კაცური მომენტი გაიღვიძებს?***

– კონკრეტულად ვინმეს დასახელება გამიჭირდება, თან ჩემი ცოდვა უნდა გავამხილო, მაგათ ყველას ერთ ქვაბში განვიხილავ. დაველოდოთ და ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

***– ნაციონალებზე ამბობთ, ყველას ერთ ქვაბში განვიხილავო და გამუდმებით აკრიტიკებთ, ამის მიუხედავად, მაინც გადანაშაულებენ, რომ ოდესღაც ნაციონალი იყავით და სააკაშვილის სადღეგრძელოს მაგიდაზე ასული***



***სვამდით. ადრე ეს კაკო ბობოხიძემ თქვა, რამდენიმე დღის წინ კი გიორგი გუგავამ გაიმეორა.***

– კაკო ბობოხიძე ჩემზე კარგს რანაირად იტყოდა. პოლიტიკაში ჩემი მოყვანილია და ყველაზე უკეთესად იცის, ვინ ვიყავი. ისიც იცის, რომ ნაციონალურ მოძრაობაში არასდროს ვყოფილვარ. მაგიდაზე ასვლა და სააკაშვილის სადღეგრძელოს ისე დალევა ხომ საერთოდ გამორიცხული ამბავია ბუნებაში.

***– გამორიცხული რატომ არის, იმ წლებში ბევრი სვამდა სააკაშვილის სადღეგრძელოს.***

– დალევით ბევრი სვამდა, მე არასდროს დამილევია, მით უმეტეს – მაგიდაზე ასულს. ყველამ იცის, რომ ასეთი რამეები არ მიყვარს. ვიღაცებისგან განსხვავებით, სკამზეც კი არ დავმდგარვარ სადღეგრძელოს დალევის დროს.

***– პოლიტიკოსები სვამენ ხოლმე ასე სადღეგრძელოებს?***

– შესაძლოა ისინიც სვამენ. სკამზე ასვლა და გამორჩეული სადღეგრძელოს დალევა ლამის ჩვეულებრივი ამბავია საქართველოში. მე ესეც არ გამიკეთებია და სააკაშვილის სადღეგრძელებლად რა ამიყვანდა მაგიდაზე?

ეს არის სიცრუე, ნაციონალები სიცრუის აკადემიკოსები არიან და ასეთი რამის მოგონება არ გაუჭირდებოდათ. თავის დროზე მათ როსტომ ჩხეიძემ თვითმარქვია ნაციონალური მოძრაობა დაარქვა. მე მათ ცრუ ნაცებს ვეძახი. დამაბრალონ და იყვნენ. რაც მეტს გამლანძღავენ, უკეთესი იქნება.

გულწრფელი კაცი ვარ და იმას არ დავმალავ, რომ 2003 წლის ვარდების რევოლუციაში მეც ვმონაწილეობდი. ჟვანიას საეჭვო სიკვდილის შემდეგ მათ მკვეთრად დავუპირისპირდი. ნაცმოძრაობის წინააღმდეგ ჩატარებულ ყველა აქციაში მაქვს მონაწილეობა მიღებული.

***– ნაციონალების ლანძღვა ჩემზე კარგად მოქმედებსო, ლეიბორისტებმაც რომ დაიწყეს, ამაზე რას იტყვით?***

– რა უნდა ვთქვა? იმ გაჭირვებულმა გიორგი გუგავამ გაიმეორა კაკო ბობოხიძის ნათქვამი. ისე როგორ უნდა გაგიჭირდეს პოლიტიკოსს, რომ კაკოს სიტყვები გამოიყენო? არც მაგათი ლანძღვა იმოქმედებს ჩემზე ცუდად. ეგენიც ნაციონალებთან არიან კავშირში. ახლა გამოდიან და ურცხვად იძახიან, უპასუხისმგებლოები ხართო.

გახსოვთ 2002 წლის თვითმმართველობის არჩევნები? გახსოვთ თბილისის საკრებულო? გახსოვთ, როგორ დაუთმო შალვა ნათელაშვილმა მიხეილ სააკაშვილს საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი? გახსოვთ 2008-2012 წლების მოწვევის პარლამენტი? ლეიბორისტები პარლამენტში რომ მოხვდნენ, ხელფასებს იღებდნენ, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოში არ შესულან.

ეს ხალხი გამოდის და ჩვენ გვეძახის უპასუხისმგებლოებს. როცა პოლიტიკაში ხარ, პარლამენტშიც უნდა შეხვიდე და, თუ საჭიროა, ზოგჯერ მუშტიც უნდა მოგხვდეს. ამ ლეიბორისტებს არასდროს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა არ აუღიათ და პოლიტიკოსებად ითვლებიან, მხოლოდ იმას გაიძახიან, მოგვეცით პრეზიდენტობაო.

თავის დროზე ეგენი საპროტესტო აქციებით ფულს შოულობდნენ. სააკაშვილი უხდიდა მაგათ ფულს. ივანიშვილი ამაზე წამსვლელი არ არის. ეჭვი მაქვს, რომ მათ ამ ეტაპზე ისევ ძველი ძალა აფინანსებს.

***– ძველ ძალაში ნაციონალებს გულისხმობთ?***

– მაგ შავბნელებსა და ცრუ ნაცებს ვგულისხმობ, ნეტა მართლა ნაციონალები და ეროვნულები ყოფილიყვნენ.

***– რატომ გგონიათ, რომ ისინი უგზავნიან ფულს?***

– ბანკების აქციებს იწყებენ და ამან გამიჩინა ეჭვები. ასე ძალიან თუ აწუხებდათ ბანკების ქმედებები, ჩვენთვის დაეჭირათ მხარი.

***– თქვენთვის რაში უნდა დაეჭირათ მხარი?***

– გასულ წელს პარლამენტმა ბანკების ზედამხედველობის შესახებ მიიღო კანონი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა. მაინტერესებს, ის ბატონები რატომ არ მივიდნენ საკონსტიტუციოსთან და იქ არ გამართეს აქცია. ეს კითხვა მაქვს, თორემ ბანკების წინააღმდეგ აქციების გამართვას კი არ ვუშლი, თანაც ბანკებთან მე ჩემი პრეტენზიები მაქვს.

***– რა პრეტენზიები?***

– მიმაჩნია, რომ ჩვენთან ყველაზე მახინჯი საბანკო სისტემაა და ამას აუცილებლად სჭირდება რეფორმირება.

***– მერე, რატომ არ დაიწყო „ქართულმა ოცნებამ“ ამ მახინჯი სისტემის რეფორმა?***

– როგორ არ დავიწყეთ, ჩვენი მოსვლის შემდეგ ეს სისტემა შედარებით გაკეთილშობილდა.

***– ეს გაკეთილშობილება რით გამოიხატა?***

– რით? არ გახსოვთ, სესხებზე გადასახადი 28-30% რომ იყო? ჩვენ ეს საპროცენტო განაკვეთი გავანახევრეთ, მაგრამ ესეც არ არის ნორმალური მაჩვენებელი. თუ გვინდა დასავლური ღირებულებების დამკვიდრება, ეს მაჩვენებელიც უნდა გავანახევროთ. ერთბაშად, სამწუხაროდ, არაფერი კეთდება. წარმატება ნაბიჯ-ნაბიჯ მიიღწევა. ვიღაცებს ამის დანახვა არ სურთ და ყველაფერზე სკანდალი და უბედურების ატეხა უნდათ.

***– არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ალბათ, სკანდალები არ მოგვაკლდება.***

– საარჩევნო წელს ეს ბუნებრივი ამბავია. იმედი მაქვს, პოლიტიკური ტემპერატურა მეტისმეტად მაღალი არ იქნება. ნაციონალები და მათთან დაახლოებული პარტიები ხალხის დაპანიკებას ცდილობენ. რუსთავი 2-ის ეთერით ისეთი სიუჟეტები გადის, საქმეში რომ არ იყო ჩახედული, იფიქრებ, რომ ქვეყანა თავზე დაგექცა.

ერთხელაც გითხარით, რომ რამდენიმე დღე ვუყურე რუსთავი 2-ს და კინაღამ ქუჩაში გამოვვარდი აქციის მოსაწყობად. ახლა მთლად უარესებს აკეთებენ და ხალხის გალიზიანებას ცდილობენ. ჩვენი მიზანი კი არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარებაა.

***– შეძლებთ ამის გაკეთებას?***

– უნდა შევძლოთ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნანა კაკაბაძე: „ელისაშვილი პატიმრებს გარკვეული ინტერესების გამო ათავისუფლებდა“

ნონა ცაბაძე

## რვა ადამიანმა პოლიტპატიმრობა ალეკო ელისაშვილისა და მისნაირების გამო მიიღო





თქვენი გაზეთიდან მე ვეუბნები ალეკო ელისაშვილს, რომ ძალიან მალე ყველაფერს ფარდა აეხდება, თუ რისთვის აკეთებდა ის ამ სიბინძურეებს. საერთოდ, უნდა დასრულდეს პოლიტიკაში ასეთი ბინძური მეთოდებით შემოსვლა, რომელიც სააკაშვილმა დანერგა.

„ახალი თაობა“ საკმაოდ ბევრს წერდა პოლიტპატიმრებისა და ალეკო ელისაშვილის სკანდალზე. ამ თემაზე ურთიერთბრალდებები დღესაც გრძელდება. ელისაშვილი პოლიტპატიმრებმა უკვე ორჯერ მიიწვიეს სასაუბროდ, რათა მათ კითხვებზე პასუხი გაეცა, თუმცა საკრებულოს დეპუტატი არც პრესკლუბში და არც პარლამენტში არ მივიდა.

პოლიტპატიმრებს დახმარება უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ აღუთქვა, რომელიც „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ალეკო ელისაშვილთან მიმართებით სკანდალურ განცხადებებს აკეთებს.

***– ქალბატონო ნანა, თქვენ იყავით ერთ-ერთი ინიციატორი, რომ ელისაშვილისა და პოლიტპატიმრების შეხვედრა პარლამენტში მომხდარიყო, მას მიწვევაც გაუგზავნეთ, თუმცა ელისაშვილი არ მოვიდა. რა ხდება დღეს ამ თემასთან დაკავშირებით?***

– ელისაშვილმა გააჟღერა, რომ მას ასევე ჰქონდა გონივრული ეჭვები პოლიტპატიმრების საქმეებთან დაკავშირებით. სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი, როს გამოც პოლიტპატიმრებმა მოითხოვეს მასთან შეხვედრა.

***– ამ საკითხზე ნაციონალებიც ხომ საუბრობდნენ. რატომ მაინცდამაინც ელისაშვილთან?***

– გეთანხმებით, ამაზე ნაციონალები თავიდანვე საუბრობდნენ, თუმცა პოლიტპატიმრებს ამაზე რეაგირება არ მოუხდენიათ, რადგან გასაგები იყო, რომ ნაციონალებისთვის ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი და ისინი ნებისმიერი გზითა და ფორმით იბრძოდნენ ამის წინააღმდეგ, ხოლო როდესაც ეს ელისაშვილმა გააჟღერა, ამის უპასუხოდ დატოვება აღარ ჩათვალეს მიზანშეწონილად და მოითხოვეს, რომ საჯაროდ, მთელი ქართველი საზოგადოების წინაშე გამომჟღავნებულიყო, ვინ ვინ არის.

***– რას გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ ერთ მხარეს პოლიტპატიმრებს, ხოლო მეორე მხარეს – ალეკო ელისაშვილის, თუმცა ელისაშვილმა შეხვედრაზე კატეგორიული უარი განაცხადა, მე იქ არ მოვალო.

***– რა მიზეზით?***

– მისი თქმით, ეს საქმის გარჩევა ყოფილა, თუმცა პოლიტპატიმრები საკომიტეტო მოსმენაზე მოსვლას სთავაზობდნენ და თავისთავად ამ ფაქტის ასეთი უმსგავსო შეფასება იმას ნიშნავდა, რომ ელისაშვილს სხვა გზა არ ჰქონდა. ის იყო ჩიხში, მას არანაირი მტკიცებულება და არგუმენტაცია არ გააჩნდა, ამიტომ ამ შეხვედრას თავს არიდებდა.

***– მხოლოდ ამ მოტივით?***

– თქვენ იცით, რომ პოლიტპატიმრები ის ხალხია, ვინც ციხეებშია ნამყოფი და ელისაშვილის შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობის პერიოდში ამ ხალხმა შესანიშნავად იცოდა, თუ რა კატეგორიის ხალხი ჰყავს ელისაშვილს შეწყალებული. ელისაშვილმა მშვენივრად იცოდა, რა უხერხულ შეკითხვებსაც დაუსვამდნენ მას პოლიტპატიმრები.

***– კონკრეტულად რას?***

– იქნებ სწორედ თვითონ იყო ელისაშვილი ის ადამიანი, რომელიც გარკვეული ინტერესების გამო ათავისუფლებდა ისეთ პატიმრებს, რომელთა გათავისუფლებაც არანაირ სამართლებრივ სივრცეში არ ჯდებოდა.

ელისაშვილი მიხვდა, რაც ხდებოდა, ამიტომაც აარიდა თავი ამ შეხვედრას. ჩვენ დიდხანს ველოდებოდით მასთან შეხვედრას. სანამ პარლამენტში მოიწვევდნენ პოლიტპატიმრები, მანამდე პრესკონფერენცია ჩაატარეს და იქაც მოიწვიეს, თუმცა ჟურნალისტების თანდასწრებით საუბარზეც უარი განაცხადა.

ახლა უკვე პრეზიდენტთან მიიწვევენ და, თუ იქაც არ მივა ელისაშვილი, ცხადია, მას არაფერი აქვს სათქმელი. პირიქით, ეშინია.

***– რისი უნდა ეშინოდეს ელისაშვილს?***

– იმ არგუმენტების, იმ ფაქტების, რომლებზეც მას პოლიტპატიმრები დაუსვამენ კითხვას. ასევე მინდა გითხრათ, რომ პოლიტპატიმართა შორის არის რვა ადამიანი, რომლებიც ელისაშვილის ცრუ ჩვენების გამო აღმოჩნდნენ პოლიტპატიმართა სიაში.

***– რას გულისხმობთ?***

– ვსაუბრობ იმ ადამიანებზე, რომლებიც ტელეკომპანია კავკასიის საქმეზე იყვნენ დაკავებულები, რომლებიც თავიანთი რწმენისთვის, თავიანთი მართლმადიდებლობისთვის აღმოჩნდნენ ციხეებში, რომლებსაც არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ. პირდაპირ კავკასიის ეთერიდან, დარბაზში მჯდომი ადამიანები აიყვანეს და გაუშვეს ციხეში ცრუ ბრალდებით. შემდგომ ბოდიშებს იხდიდა ელისაშვილი ამაზე, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ რვა ადამიანმა პოლიტპატიმრობა სწორედ ალეკო ელისაშვილისა და მისნაირების გამო მიიღო. სწორედ ამიტომ და კიდევ იმ ფაქტების გამო აარიდა ელისაშვილმა პოლიტპატიმრებთან შეხვედრას თავი, რომელ ფაქტებზეც მას პირდაპირ დაუსვამდნენ შეკითხვებს.

***– და რა არის ეს ფაქტები. რა გახდა თქვენთვის ცნობილი? ამაზე პირდაპირ რატომ არ საუბრობთ?***

– ის, თუ როგორ მოხვდნენ შეწყალებულთა სიებში ისეთი ადამიანები, რომელთა მიმართაც აშკარად და ყველანაირი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ჩანს ანგარება და პირადი დაინტერესება. რამდენიმე გვარმა უკვე გაიჟღერა.

***– კონკრეტულად ვისმა გვარმა?***

– მე დღეს ამაზე მეტად არ დავკონკრეტდები.

***– ეს სერიოზული ბრალდებაა. ამტკიცებთ, რომ ელისაშვილმა ანგარების გამო შეიწყალა ესა თუ ის პატიმარი?***

– ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ შეწყალების უკან იდგა ინტერესები, ხოლო ვისი ინტერესები იყო და რა ინტერესები, ამაზე თავად ელისაშვილმა უნდა ისაუბროს.

***– ანუ არ გამორიცხავთ, რომ შესაძლოა თავად ელისაშვილი გაეხვიოს ამ სკანდალში?***

– შესაძლოა კი არა, ეს არის ფაქტები! თავად ფაქტებზე ვერ საუბრობს და ჩვენ კონკრეტულ ფაქტებს ვეუბნებით, კონკრეტულ გვარებს ეტყვიან პოლიტპატიმრები, კონკრეტულ სახელებს და მან უნდა ახსნას, რატომ გათავისუფლდნენ ეს ადამიანები, რატომ მოხვდნენ შეწყალების სიაში!

***– ამის შესახებ ელისაშვილის პოზიცია არ არის თქვენთვის ცნობილი?***

– ელისაშვილმა ორ თუ სამ პატიმარზე თქვა, ჩემი კომისიის გვერდის ავლით მოხდა ამ ადამიანების გათავისუფლებაო, რაც თავისთავად აბსურდია.

ჯერ ერთი, ასე არ ყოფილა და, ვთქვათ, მისი გვერდის ავლით მოხდა ამ პატიმრების გათავისუფლება. მესიჯებზე ატეხა ერთი ამბავი და კივილი დაიწყო, მიშველეთ, მესიჯებით ზეწოლას ახდენდნენ ჩემზე და კორუფციას აქვს ადგილიო, ხოლო როდესაც პირდაპირ შედეგი იყო დადებული შეწყალების კომისიისგან და გათავისუფლებული იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც პირდაპირი მნიშვნელობით კონკრეტული ინტერესებიდან და ანგარებით იყვნენ გათავისუფლებულნი, მაშინ რატომ არ გაუჩნდა პროტესტი ალეკო ელისაშვილს?! რატომ არ გამოვიდა ტელევიზიით და არ განაცხადა, შეწყალება გამოყენებულია არასამართლებრივადო, თუკი მას თავად არ ჰქონდა პირადი ინტერესები?!

***– თუ გვარებს არ ასახელებთ, ის მაინც გვითხარით, რისთვის იხდიდნენ სასჯელს ეს ადამიანები?***

– მათ შორის არიან ნარკორეალიზატორები, მკვლელობის მცდელობისთვის გასამართლებული ადამიანები, მკვლელები და ასე შემდეგ. სწორედ ასეთი ადამიანების შეწყალებაზე გვინდა ვესაუბროთ ელისაშვილს, აგვიხსნას, რა იდგა ამ ყველაფრის უკან, რომელშიც ელისაშვილი უშუალოდ მონაწილეობდა ან ხმას არ იღებდა ამ ფაქტებზე! აი მიზეზი, თუ რატომ არ მოვიდა ის ამ შეხვედრაზე პარლამენტში! იცის, რომ მას კონკრეტულ ფაქტებს დაუდებენ, თვითონ კი არ გააჩნია არანაირი ფაქტი და მტკიცებულება.

***– მაშ რა განზრახვა ამოძრავებდა ელისაშვილს?***

– მან გადაწყვიტა, ამ ბინძური მეთოდით დიდ პოლიტიკაში შემოსულიყო. გაგახსენებთ, 2003 წლის რევოლუციის წინ სწორედ სააკაშვილი შემოვიდა ასე პოლიტიკაში, ვითომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით, აქვეყნებდა ფოტოებს, აგარაკებისა და სახლების სურათებს, იძახდა, ეს ამის სახლია, ის იმისიო და ამით მოვიდა პოლიტიკაში. დაახლოებით ასეთი სცენარი ცადა ელისაშვილმაც...

***– მაგრამ არ გამოუვიდა?***

– ელისაშვილს დაავიწყდა, რომ ის არ არის სააკაშვილი, რომ სააკაშვილი უფრო ნიჭიერი თაღლითია და მას უფრო უკეთესად გამოსდის ეს ყველაფერი. ელისაშვილი კი ჯერ ასეთ ნიჭიერ თაღლითობამდე შორს არის. მას ვერ გამოუვიდა ეს ნომერი. მე ვეუბნები თქვენი გაზეთიდან ალეკო ელისაშვილს, რომ ძალიან მალე ყველაფერს ფარდა აეხდება, თუ რისთვის აკეთებდა ის ამ სიბინძურეებს. საერთოდ, უნდა დასრულდეს პოლიტიკაში ასეთი ბინძური მეთოდებით შემოსვლა, რომელიც სააკაშვილმა დანერგა. ახლა კი მისი მიმდევრები იყენებენ ამ ფორმას. ამას დაასრულებს სწორედ პოლიტპატიმრების შეხვედრა, რომელიც აუცილებლად შედგება.

***– ელისაშვილს რომ არ აქვს შეხვედრის სურვილი?***

– მიუხედავად ელისაშვილის სურვილისა თუ არსურვილისა, მისი დასწრება– არდასწრებისა, ჩვენ ამ საკითხებზე აუცილებლად ვილაპარაკებთ პარლამენტის კომიტეტში! სწორედ პარლამენტმა უნდა გასცეს ამ კითხვებს პასუხი, თუ რატომ ეძლევათ ელისაშვილისნაირებს საშუალება, იმანიპულირონ იმ ადამიანებით, რომლებსაც სწორედ პარლამენტმა მიანიჭა ეს სტატუსი და თქვა, რომ ესენი არიან პოლიტიკური პატიმრები.

მოვიდეს და იდავოს ელისაშვილმა, რომელი პოლიტპატიმარი არ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რომელიც ევროპარლამენტმა მიიღო! ერთი თავად რა კრიტერიუმით შეარჩია და შეიწყალა ის ადამიანები, რომლებზეც ჩვენ არაერთი კითხვა გვაქვს! დღეს ის პოლიტიკურ არენაზე სწორედ თავისი უმსგავსობისა და სიბინძურის დასაფარად გამოდის და სხვაგან ისვრის ტალახს! რცხვენოდეს ალეკო ელისაშვილს!

***– ალეკო ელისაშვილი ციხეში შევიდა და ანასტასია ზაუტაშვილს შეხვდა. რატომ გადაწყვიტა მისი მფარველობა და ადვოკატის აყვანა?***

– რისი დაცვა და მფარველობა, ეს არის ელისაშვილის მორიგი ტრიუკი. მას ყველაფერი შემოეცალა. ახლა ეძებს ადამიანს, რომელიც შესაძლოა მას ამ საქმეში გვერდში მდგომად გამოადგეს, რათა რამენაირად დაიცვას საკუთარი ცრუპენტელობა და ამაზე არ მოუწიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ზაუტაშვილთან ერთადერთი მიზნით შევიდა, რომ როგორმე ის მიიმხროს და ათქმევინოს ის, რაც მის უსინდისო პოზიციებს გაამყარებს, მაგრამ არ გამოუვა.

# გორის მაჟორიტარი შიდა ქართლის გუბერნატორის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

შიდა ქართლში პოლიტიკური ტემპერატურა ყოველდღე მატულობს. 5 თებერვალს გორის საკრებულოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხი განიხილება. მანამდე კი ერთმანეთს გორის მაჟორიტარი დეპუტატი და შიდა ქართლის გუბერნატორი დაუპირისპირდნენ.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83





კიდევ ერთი დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“

გორის მაჟორიტარმა სოსო ვახტანგაშვილმა გუბერნატორ ზურაბ რუსიშვილს გადადგომა მოსთხოვა. ეს განცხადება დეპუტატმა ტელეკომპანია „„თრიალეთის“ ეთერში გააკეთა.

სოსო ვახტანგაშვილი ქალაქ გორსა და გორის რაიონში შექმნილ ვითარებას რუსიშვილს უკავშირებს. დეპუტატის თქმით, შექმნილ პრობლემებზე პასუხისმგებლობა გუბერნატორმა და მისმა გუნდმა უნდა აიღოს.

– რა პროცესებიც მიმდინარეობს ქალაქში, საკრებულოსთან და პარტიასთან მიმართებით, რეაგირებას ითხოვს. ჩემი, როგორც მაჟორიტარის პოზიციაა, რომ ამ ყველაფერს უნდა ვუშველოთ. ეს ჩემი განცხადება იყო გამოსავლის ძიება, – ამბობს სოსო ვახტანგაშვილი.

ჟურნალისტებთან საუბარში დეპუტატი ამბობს, რომ რეგიონი კლანური მმართველობიდან გამომდინარე არ უნდა იმართებოდეს. ის მეტ კომუნიკაციას ითხოვს.

– ის მენეჯმენტი, რომელიც გუბერნატორისგან მომდინარეობს, არის იმის წინაპირობა, რა ვითარებაც შექმნილია ქალაქში. პიროვნულად, აბსოლუტურად არანაირი პრობლემა არ მაქვს მასთან. პრობლემა მაქვს მის მმართველობასთან, – აღნიშნავს მაჟორიტარი.

გორის რჩეული აღშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ რამდენიმე დღეში გორში ძალაუფლება შესაძლოა ოპოზიციის ხელში გადავიდეს. საკრებულოს თავკაცის გადაყენებას ქართული პარტია, ნაციონალები და თავისუფალი დემოკრატები აპირებენ.

– სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვიარეთ 2012 წელს. დღეს მმართველობა ოპოზიციის ხელში გადადის, – ამბობს ვახტანგაშვილი.

ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოში, ქალაქ გორის საკრებულოც 2014 წლის ზაფხულში დაკომპლექტდა. მაშინ გორის ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს დაუჭირა მხარი.

იმაში, რომ ქალაქის საკრებულოში ამომრჩეველმა ოპოზიციიდან მეტი წარმომადგენელი შეიყვანა, 2012 წელს არჩეული დეპუტატი 2013 წლის დეკემბერში დანიშნულ გუბერნატორს ადანაშაულებს.

ამ საკითხზე მისი წუხილი საპარლამენტო უმრავლესობისთვის გასაგებია, თუმცა მათ არ ესმით, რატომ მოითხოვა მაჟორიტარმა გუნდთან შეთანხმების გარეშე გუბერნატორის გადადგომა.

– მას ამ საკითხზე ჯერ ჩვენთან უნდა ესაუბრა და შემდეგ გაეკეთებინა საჯარო განცხადებები, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ.

დეპუტატს ტონი და განცხადება გუბერნატორმაც დაუგმო. რუსიშვილმა საგანგებო განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ არსად წასვლას არ აპირებს.

– არ ვაპირებ დეპუტატ სოსო ვახტანგაშვილის ბრალდებებზე ვრცელი განცხადების გაკეთებას. ყველასთვის ისედაც გასაგებია, რომ საარჩევნო წელს ადგილი ექნება დაუსაბუთებელ ბრალდებებს. მე, როგორც სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლში, ვაგრძელებ ჩემს საქმიანობას და არანაირ პოლიტიკურ დებატებში შესვლას არ ვგეგმავ, – განაცხადა რუსიშვილმა.

# თვითმმართველობებში ინვესტორებს, როგორც დამპყრობლებს, ისე უყურებენ

**რა შეცდომა დაუშვა ბიძინა ივანიშვილმა, რა პრობლემებს უქმნიან ინვესტორებს რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობები და რამდენად ეფექტურია მთავრობის სოფლის მეურნეობის გრძელვადიანი პროგრამა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს საინვესტიციო კომპანია „გრანდე გრუპის“ დამფუძნებელ კონსტანტინე მორგოშიასთან.**



***– ბატონო კოკა, როგორ შეაფასებდით ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას. რამდენად ადეკვატური ნაბიჯები გადადგა მთავრობამ იმისათვის, რომ ქვეყანაში ინვესტიციები უხვად თუ არა, ზომიერად მაინც შემოსულიყო?***

– ინვესტიციებს რაც შეეხება და, ზოგადად, ბიზნესში არსებულ მდგომარეობას, მთავრობის ჩარევა იმ სახით, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო, თითქმის არ არის. ვგულისხმობ, სახელმწიფო რეკეტს. ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე მე არ მსმენია. რაც შეეხება საინვესტიციო გარემოს გამოსწორებას, არის გარკვეული პროექტები, რაც ჩემი მხრიდან მოწონებას იმსახურებს. ვგულისხმობ პროექტს „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“, იგივე MGF მუნიციპალური განვითარების პროექტი, რომელშიც საუბარია ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობაზე. ეს პროექტები ნამდვილად მომწონს და არის იმის მასტიმულირებელი, რომ ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია შემოვიდეს. რაც შეეხება იმას, რამდენად მკვეთრი ნაბიჯებია გადადგმული, ვფიქრობ, პიარის კუთხით ქვეყანას და ხელისუფლებას, საკმაოდ დიდი პრობლემები აქვს. პროექტების სიმწირის მიუხედავად, რაც ქვეყნის სასიკეთოდ ხორციელდება, იმის გაპიარებაც პრობლემაა. მუნიციპალიტეტები აბსოლუტურად არაინფორმირებულები არიან ამ სამთავრობო სიახლეებით. შესაბამისად, სადაც ჩვენ გვაქვს დაინტერესება და ვმოღვაწეობთ, მაგათგან არანაირი სიგნალი, მოწოდებები არ მოდის. სახელმწიფომ მეტი უნდა იმუშაოს, რათა მუნიციპალიტეტებში ინფორმირებული ადამიანები იყვნენ. ეს ადგილებზე მეტ სიკეთეს მოიტანს. ინფორმირებულობასთან ერთად ადგილობრივ ხელმძღვანელობას ეს პროექტები, როგორც მინიმუმ, ინვესტორზე უკეთესად უნდა ჰქონდეთ გათავისებული, ამასთან, მოტივირებულებიც უნდა იყვნენ.

***– ხელისუფლებამ ვერ დაინახა, რომელი მიმართულებით იყო მუშაობა გასააქტიურებელი, სად იყო საინვესტიციო პოტენციალი, თუ ფინანსების სიმწირის გამო მხოლოდ ორი-სამი პროექტი დააფინანსა?***

– საინვესტიციო პოტენციალი საქართველოს რეალობაში მარტივად გასათვლელია. ჩვენ არა გვაქვს ენერგომატარებლები. შესაბამისად, ამის ინტერესი ჩვენთან ვერ იქნება. საქართველოს აქვს ტურისტული პოტენციალი, მინერალური წყლები, სოფლის მეურნეობა, რომელიც, ასევე დავამატებ, ვერ იქნება ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა, თუმცალა მისი შემადგენელი ნაწილია; პლუს საბანკო სექტორი. აი, ეს არის ძირითადი კომპონენტები. ამას ემატება კომუნიკაცია, კავშირგაბმულობა და მშენებლობა. სახელმწიფოს ყველაზე სუსტი პოზიციები სწორედ სოფლის მეურნეობა აქვს. კონფიდენციალური არ არის და შეგიძლიათ ნახოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საიტზე სოფლის მეურნეობის გადარჩენის გეგმა 2012-2020. დილეტანტის დონეზეც მკვეთრად ჩანს, რომ ეს უფრო პიარზე ორიენტირებული პროგრამაა და საქმესთან რეალური კავშირი არ აქვს. ელემენტარულად, სოფლის მეურნეობის ძირითადი შემადგენელი ნაწილია მელიორაცია. მის გარეშე სოფლის მეურნეობა წარმოუდგენელია. მელიორაციასთან დაკავშირებით საერთოდ არ არის მონახაზი, თუ რა ვადებში, რა მასშტაბით და სად შეიძლება ეს პროექტები განხორციელდეს. მრავალწლიანი კულტურების უმეტესობა წყლის გარეშე ვერ განვითარდება. სოფლის მეურნეობის კუთხით, მთავრობას საკმაოდ ცუდი სიტუაცია აქვს. ამას, იმას თუ დავამატებთ, რომ ისეთი იმპულსები მოდის, თითქოს ბაზარი თვითონ დაარეგულირებს კონკურენტულ გარემოს, მინდა გითხრათ, რომ არცერთ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა თავის ნებაზე მიშვებული არ არის. ეს დარგი ყველგან სახელმწიფოს საკმაოდ დიდი ყურადღების ქვეშაა.

***– ყველა ხელისუფლება აქცენტს სწორედ სამელიორაციო სისტემების მოწესრიგებაზე აკეთებდა. კონკრეტულად რომელ რეგიონში წააწყდით პრობლემებს სამელიორაციო სისტემების გაუმართაობის გამო?***

– წინასთან შედარებით, დღევანდელი ხელისუფლება მელიორაციის პრობლემების მოგვარების კუთხით გაცილებით გააქტიურებულია. თუმცა ეს ზღვაში წვეთია. სოფლის მეურნეობა უნდა ვითარდებოდეს დინამიკაში. ყველაფერი ერთ ციკლად უნდა იყოს. არ შეიძლება ვისაუბრო მიწაზე, მქონდეს ბიზნესპროექტი, ჩავატარო კვლევა და სამელიორაციო სისტემების მოწესრიგებას წლები ველოდო. თითქოს ორიენტირებულები არიან, რომ ბაზარი თავად დაარეგულირებს კონკრეტულ გარემოს. უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის კუთხით. პირველ ეტაპზე აუცილებლად უნდა გაკეთდეს კვლევები რეგიონების მიხედვით. უნდა ვიცოდეთ, დავუშვათ, სტანდარტი – გლეხებისა და ფერმერების საკუთრებაში 3 ან თუნდაც 5 ათასი კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თუნდაც 1 ჰა ფართობით, სოფლის მეურნეობას ვერ გადავარჩენთ. საჭიროა სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტების ბალანსზე არსებულ მიწებში ინვესტიციების ჩადება, ხოლო ის ფართობები, რაც კერძო მესაკუთრეებისა, ფერმერების და გლეხების ხელშია, აუცილებლად უნდა გაერთიანდეს კოოპერატივში. ანუ უნდა გაკეთდეს კოოპერაცია და გლეხები მასში გაერთიანდნენ.

***– მიდგომა უნდა შეიცვალოს და სოფლის მეურნეობის განვითარება სხვა მიმართულებით დაიგეგმოს?***

– აბსოლუტურად. სოფლის მეურნეობის კუთხით საკმაოდ მძიმე სიტუაცია.

***– ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა და მთავრობამ პრიორიტეტად სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარება დაისახა. სოლიდური თანხაც ჩაიდო. ექსპერტები ამტკიცებენ, იმ თანხით გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდაო.***

– სოფლის მეურნეობის ძირითადი შემადგენელი ნაწილია ინფრასტრუქტურა. ამ მხრივ საკმაოდ დიდი პრობლემებია. მართლაც დიდი თანხები დაიხარჯა. ხალხშიც ასეთი აზრი მუსირებს და ბიზნესმენებიც, ვისთანაც საუბარი მქონია, ამბობენ, რომ ეს, ფაქტობრივად, წყალში გადაყრილი ფულია; ამ დახარჯულ ფულს დადებითი ეფექტი არ აქვს, ვერც ექნება. ეს დაახლოებით იმას წააგავს, ხარჯავ ფულს იმაში, რაც არ იცი, რა ეფექტს მოიტანს და სად მიხვალ ბოლოს. კვლევის და ჩარჩო-გეგმის გარეშე, როგორ შეიძლება, ფულის დახარჯვა როგორც ჩემთვის, ისე ბევრი ბიზნესმენისთვის, გაუგებარია.

***– დილეტანტიზმი თვითმმართველობებში რეალურად აფრთხობს ინვესტორებს?***

– კი. პრემიერმა კვირიკაშვილმა უკვე გააჟღერა რამდენიმე დღის წინ, რომ მუნიციპალიტეტებში აბსოლუტურად სხვა საქართველოა. ამ პრობლემებთან დაკავშირებით საკმაოდ ხშირი კომუნიკაცია მქონდა კვირიკაშვილთან მაშინაც, როცა ის ეკონომიკის მინისტრი იყო და შემდგომაც, რაც პრემიერად დაინიშნა. საკმაოდ ნაყოფიერად თანამშრომლობს ბიზნესწრეებთან, ინვესტორებთან, ისევე როგორც ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობა. პრემიერი მოტივირებულია, რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია ჩაიდოს იგივე რეგიონებში. მას ვეთანხმები, მუნიციპალიტეტებში ნამდვილად სხვა რეალობაა. იქ არიან კვალიფიციური კადრები, თუმცა ძალიან ცოტა. ბიუროკრატია ინვესტიციებს ხელს უშლის. ხელოვნურად შექმნილი ბიუროკრატია კი, უფრო დიდი პრობლემაა. ის, რომ მუნიციპალიტეტებში გადაწყვეტილების მიღება უჭირთ, ეს ავტომატურად ვრცელდება ყველა მათ თანამშრომელზე. რეალობა კი ის არის: როცა ხელისუფლებას ელაპარაკები ინვესტიციებზე, კონკრეტულ რეგიონში გარკვეულ მიწის ფართობზე, ეს სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი იქნება თუ არასასოფლო, სჭირდებათ მოსაზრება მუნიციპალიტეტიდან და მათ უბრალოდ არ იციან, რა პასუხი უნდა მისცენ. ეს უკეთეს შემთხვევაში. ხშირია, როდესაც ინვესტორს აღიქვამენ, როგორც დამპყრობელს. ელემენტარულად იმის გაგებაც კი უჭირთ, რომ ამ ტრანზაქციის უკან მილიონობით ინვესტიცია და საბანკო გარანტია დგას, რომელიც აზღვევს სახელმწიფოსაც და მუნიციპალიტეტსაც, რომ ადამიანმა არაკეთილსინდისიერად არ მოიხმაროს ეს მიწის ფართობები.

***– თქვენ პირადად რომელ რაიონში შეგექმნათ მსგავსი პრობლემები ადგილობრივ თვითმმართველობებში და რა პოზიცია დაიკავა ცენტრალურმა ხელისუფლებამ?***

– თითქმის ყველა რეგიონში გვქონდა კომუნიკაცია. ახლაც მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა რაიონში კონკრეტულ პროექტებზე. ეს ინვესტიცია პირადად ჩემი კომპანიის არ არის, არის იმ ინვესტორების, რომლებიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მოღვაწეობენ და არიან ქართველები. თუმცალა ყველა პროექტი ჩვენი ინიციატივით და ინსცენირებით გაკეთდა. მაგალითად, მცხეთაში იმიტომ შეგვექმნა მეტი პრობლემა, რომ ყველაზე დიდი ინვესტიცია სწორედ მცხეთაში ჩავდეთ. სამი წლის თავზე ჩვენ მიერ მცხეთაში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა 50 მლნ ლარი იქნება, საიდანაც დაახლოებით 7-8 მლნ ლარი უკვე ინვესტირებული გვაქვს ორ პროექტში. ეს არის 170 ჰა მიწის ფართობი სოფელ მუხრანში, სადაც კაკლის გადამამუშავებელი საწარმო და კაკლის ბაღები შენდება. ეს არის სახელმწიფოსთან აღებული ვალდებულება; ასევე ბეტონის ქარხანა გაიმართება დახურული ციკლით, რომელიც ჰაერს არ დააბინძურებს და მწვანე ფლორას ხელს არ შეუშლის. პლუს სასტუმრო მტკვრის პირას ე.წ. კერამიკული სკოლის ტერიტორიაზე, სადაც ტერიტორიის ნაწილი კერძო მესაკუთრეებისგან ვიყიდეთ, ნაწილი – მუნიციპალიტეტისგან ვალდებულებით გამოვისყიდეთ, ნაწილი – ეკონომიკის სამინისტროსგან. იქ შენდება დაახლოებით 30 მლნ ლარის ღირებულების ბრენდული სასტუმრო 80 ნომერზე 14 000 კვ. ციფრები საკმაოდ სოლიდურია, დამეთანხმებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ საკითხების გადასაწყვეტად ჩვენ ერთი წელზე მეტი დავკარგეთ.

***– ჩინოვნიკების მიერ შექმნილმა პრობლემებმა შეაფერხა ინვესტიციები და სამუშაო ადგილების შექმნა?***

– მნიშვნელოვანწილად ჩინოვნიკების პრობლემებმა. ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ ჩინოვნიკებსა და მოსახლეობას შორის კომუნიკაცია არ არის. მოსახლეობა მათ აღიქვამს როგორც არა თავის მხარეს ან მხარეს, რომელმაც უნდა გაატაროს მათი ინტერესები, არამედ როგორც ვიღაც ბიზნესმენის დაქირავებულ პიროვნებას, რომელიც კონკრეტული ბიზნესმენის ინტერესებს ატარებს. ზოგ შემთხვევაში, ეს არის სწორედ ის ფაქტორი, როდესაც ჩინოვნიკებს უჭირთ ინიციატივების აღება ანუ სახელმწიფოებრივი ხედვა მათთან, ფაქტობრივად, ნულზეა დასული. თუმცა, აქვე მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ კარგად თანამშრომლობთ გუბერნატორებთან. ვფიქრობ, მათ მუნიციპალიტეტები უშლიან ხელს და არ ემეგობრებიან.

***– იგივე მცხეთის თვითმმართველობის წარმომადგენლებს ადგილობრივ მოსახლეობამდე ვერ მიაქვთ ინფორმაცია იმ სიკეთეზე, რომელიც კონკრეტული ინვესტიციის განხორციელების შედეგად მიიღწევა? ინვესტიცია ხომ რაიონის შემოსავლებსაც ზრდის და ადგილზე მოსახლეობაზე დადებითად აისახება?***

– პირადად მე უამრავი პრობლემა მქონია, თუმცა არ მინდა ამ პრობლემაში, ყველა მოვიაზრო. სრული პასუხისმგებლობით ვიძახი: მცხეთის მუნიციპალიტეტში, ყველა სტრუქტურაში, სადაც კი შეხება მქონია, რაიონის საკრებულო იქნება, მერია თუ თემის საკრებულო, ყველასთან მქონდა შეხება; თანამშრომლების კონტინგენტი საკმაოდ კვალიფიციურია, ნორმალური კადრები არიან. ერთი პრობლემაა: მენეჯერები ანუ პირველი პირები ამ კუთხით აბსოლუტურად არაკომპეტენტურები არიან. მათ პიროვნულ თვისებებს არ ვეხები. შეიძლება ფანტასტიკური ხალხია, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება უჭირთ. ყველა გადაწყვეტილებას, თავისი თანამშრომლის ინიციატივით წამოსულსაც კი, ეჭვის თვალით უყურებენ. როდესაც მე ვარ თვითმმართველობის თანამშრომელი და ვეცნობი ინიციატივას კონკრეტული ბიზნესის კუთხით, როცა ბიზნესმენის განაცხადია შემოსული, მხვდება ჩემი ხელმძღვანელი ამ თემატიკით დაძაბული და ეჭვის თვალით მიყურებს, შესაბამისად, მეც მეორედ და მესამედ მისი შეწუხება აღარ მინდა. პრობლემა რეალურად ეს არის. შეიძლება ამ ხალხს საქმე ვაკეთებინოთ საკმაოდ ეფექტურად, პრობლემაა ის, რომ მენეჯერებს იმ კუთხით ცოდნა ნამდვილად არ აქვთ, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდება. ვგულისხმობ ინვესტიციებს. დღეს ეს რეალობაა. დიდგორის ბრძოლა აღარ მოგველის, ჩვენ სწორედ ამ კუთხით უნდა გავიმარჯვოთ, რომ რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია შემოვიდეს, საწარმოები აშენდეს და მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას. ამისთვის საჭიროა მოტივირებული მენეჯერები; მენეჯერები, რომლებიც თავის თავზე აიღებენ გადაწყვეტილების მიღებას და საკუთარი უცოდინრობის არ შეეშინდებათ.

***– მარნეულის რაიონში ინვესტიციის ჩადება მხოლოდ იმიტომ შეაჩერეთ, რომ ჩინოვნიკურ ლაბირინთებში ტრიალის პარალელურად ადგილზე მოსახლეობამ მოითხოვა, მოლასაც შეხვედროდით და პროექტი მასთანაც შეგეთანხმებინათ? მოლას თანხმობის გარეშე ბროწეულის ბაღების გაშენებაზე უარი გითხრეს?***

– ასე გამოვიდა. მარნეულის ფაქტზე პირდაპირ გეტყვით: მინდოდა ინვესტიციის განხორციელება მრავალწლოვან კულტურებთან დაკავშირებით. ხშირი კომუნიკაცია მქონდა ადგილობრივ თვითმმართველობასთან. ვერ ვიტყვი, რომ ვიღაც ადგილზე არ მხვდებოდა ან თავს გვარიდებდა, თუმცა გადაწყვეტილება მაინც ისეთი იქნა მიღებული, რასაც წლების მანძილზე ვიღებთ. ანუ მიწები ისევ გაიჯარდა და მივიღეთ ის რეალობა: აზერბაიჯანული მოსახლეობა ამ მიწებს იღებს იჯარით და ქვეიჯარით გასცემს თურქებზე, რომლებსაც კარტოფილი მოყავთ. როდესაც ჩვენი კარტოფილის მარაგი ამოიწურება, ისევ მაგათგან ვყიდულობთ 7-ჯერ უფრო ძვირად ანუ ადგილებზე თვითმმართველობები არ არიან ორიენტირებულები მრავალწლოვანი კულტურების განვითარებაზე. მე არ ვიძახი, რომ ერთწლოვანი კულტურები საჭირო არაა, თუმცა სახელმწიფოებრივი მიდგომით, სადაც საშუალება იმისი, რომ მრავალწლიანი კულტურები მოვიყვანოთ, ეს უნდა გაკეთდეს. ჩვენ გვქონდა პროექტი ბროწეულის ბაღებზე, რომელიც ჩავარდა. არავის შეუხედავს იმ ციფრებზე, რომ თუნდაც 70% ბროწეულისა, რასაც ქვეყანაში მოვიხმართ, არის მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანილი. პრობლემები იყო. მესმის, რთული რეგიონია, ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა ცხოვრობს, თუმცა ესენიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან და მუნიციპალიტეტებს მათთან მეტი მუშაობა სჭირდებათ. ისედაც მძიმე სიტუაციაა გლეხებთან, ფერმერებთან. მათ უჭირთ რეალობის აღქმა. არ აქვთ დრო, ღრმად ჩაიხედონ საინვესტიციო პირობებში, ინვესტორთან მეტი კომუნიკაცია ჰქონდეთ. სახელმწიფოს მაგიტომაც ყავს რწმუნებულები და გამგებლები, რომ სწორედ ისინი უნდა იყვნენ მედიატორები სახელმწიფოს, ბიზნესსა და ხალხს შორის. თუმცა, მარნეულის შემთხვევაში, პირდაპირ გეტყვით, ეს ასე მარტივად არ გამოდის. ყველა მუნიციპალიტეტს თვალს ვადევნებ. ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებით თავს იწონებენ, ალბათ რაღაცას თავსაც აბამენ, რასაც არა, ეს უკვე ცენტრალური ხელისუფლების გადასაწყვეტია, თუმცა ინვესტიციების განხორციელების კუთხით პრობლემები ხშირია. ინვესტორი შეიძლება ყველას შეხვდეს, მოსახლეობას, შეიძლება – დაილაპარაკოს სასულიერო პირთანაც, მაგრამ ინვესტორი უნდა გრძნობდეს სახელმწიფოს გვერდში დგომას, როგორც მოსახლეობა. რაც შეეხება იმას, ეს დეტალები ინვესტორებს აფრთხობს თუ არა, პირდაპირ გეტყვით, ვცდილობ ამ დეტალებზე ინვესტორებთან არ ვისაუბრო. ამ ქვეყნის შვილი ვარ და არ მინდა, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა არაჯანსაღად ჩანდეს, ანდა, საერთოდაც, იყოს ჯანსაღი. არაფერს ვუმალავ, თუმცა ჩემი ინიციატივით ამ დეტალებზე ინვესტორებთან ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე არ ვსაუბრობ.

**შორენა კოწოწაშვილი**

# პატრიოტთა ალიანსი ერთიან ფრონტს ქმნის

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, რომელიც ხელისუფლებას შუალედური საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაუპირისპირდა, ახალ განცხადებებს აკეთებს.**

**პარტიის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი აღნიშნავს, რომ საქართველოს პატრიოტთა ალიანსი მთავარი ოპოზიციური ძალაა და ხალხში იმაზე მეტი ნდობით სარგებლობს, ვიდრე „ქართული ოცნება“.**






ამის დასადასტურებლად მას გარდაბანში 28 იანვარს გამართული გამგებლის რიგგარეშე არჩევნების შედეგებიც მოჰყავს. ამ არჩევნებში დაახლოებით 70%-იანი მხარდაჭერა მიიღო „ოცნების“ წარმომადგენელმა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს კი 30%-ზე ნაკლებმა მისცა ხმა.

– კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ რომ ნაციონალური მოძრაობა არათუ არ წარმოადგენს მთავარ ოპოზიციურ ძალას, არამედ ეს პარტია ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. ნაცმოძრაობა აბსოლუტური ბანკროტია. ეს არის დამნაშავე პარტია. ყოველ შემთხვევაში, მისი ლიდერები ნამდვილად დამნაშავენი არიან. ხალხმა ეს იცის. ვერანაირი ენდიაისა და სხვა მსგავსი კვლევები ამ პარტიას არ უშველის. მთავარი ოპოზიციური ძალა საქართველოს პატრიოტთა ალიანსია. ჩვენ მიმართ მოსახლეობის ნდობა იმაზე მაღალია, ვიდრე „ქართული ოცნების“ მიმართ, – აცხადებს პარტიის ლიდერი.

მისი თქმით, გარდაბნის არჩევნებში ორ კანდიდატზე მეტს რომ მიეღო მონაწილეობა, მაშინ ნაცმოძრაობა ხმების 15%-საც ვერ მიიღებდა.

თარხან-მოურავი პარალელს ავლებს საგარეჯოს შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებთან, სადაც გამარჯვება მოიპოვა ირმა ინაშვილმა, მაგრამ არჩევნების შედეგები გაყალბდა:

– საგარეჯოში ოთხი კანდიდატი იყო. იმ ორმა თითქმის 5% აიღო. ის ორი კანდიდატი რომ არ ყოფილიყო, იმ 5%-საც ჩვენ წამოვიღებდით. ამ პირობებშიც დაგვიწერეს 41%, სინამდვილეში, ჩვენ 65% ავიღეთ.

გარდაბნის საარჩევნო ოლქში გახსნილმა სპეცუბანმა დიდი ხმაური გამოიწვია. პატრიოტთა ალიანსში ამ სპეცუბანთან დაკავშირებით განსაკუთრებული მოსაზრება აქვთ. პარტიის ლიდერები ამას თავდაცვის მინისტრის სახელს უკავშირებენ. თინა ხიდაშელს ისინი საგარეჯოს არჩევნების ერთ-ერთ მთავარ ფალსიფიკატორად ასახელებენ და მიიჩნევენ, რომ გარდაბანში სამხედრო ნაწილის არჩევნებში ჩართვა თავდაცვის მინისტრ ხიდაშელს საგარეჯოში მომხდარი გაყალბების გასაბათილებლად დასჭირდა:

– ეს სპეცუბანი ქალბატონმა თავდაცვის მინისტრმა იმისთვის გახსნა, რომ საგარეჯოს სიყალბე გადაეფარა. მას ჰგონია, რომ ვაშინგტონსა და ბრიუსელს თავის სიმართლეში დაარწმუნებს, მაგრამ იქაც იციან, რომ თავდაცვის მინისტრი არის გამყალბებელი ადამიანი, რომელიც ხალხს თვალში ნაცარს აყრის.

თარხან-მოურავი აღიარებს, რომ რესპუბლიკურ პარტიაშიც არიან პატივსაცემი ადამიანები, მაგრამ ამ პარტიის ოთხი წევრი მავნე და საშიშია ქვეყნისათვის. ესენი არიან: თინა ხიდაშელი, დავით უსუფაშვილი და ძმები ბერძენიშვილები, ამიტომ საჭიროა მათი პოლიტიკური ნეიტრალიზაცია.

პარტიის ლიდერის შეფასებით, დღეს, პატრიოტთა ალიანსის გარდა, არცერთ ძალას არ შეუძლია საკუთარი წევრების 100-კაციანი შიმშილობის აქციის ორგანიზება და საპროტესტო აქციაზე 20 ათასი კაცის გამოყვანა.

**დავით თარხან-მოურავი:**

– ჩვენთან მებრძოლი ხალხია გაერთიანებული. შეგვიძლია ქუჩაში გამოსვლაც და შიმშილობაც. ვურჩევ „ქართული ოცნებისა“ და დანარჩენი პარტიების პატიოსან და წესიერ წევრებს, დატოვონ თავიანთი პარტიები და გადმოვიდნენ საქართველოს პატრიოტთა ალიანსში. ხელისუფლების დასამარცხებლად უნდა შევქმნათ ერთიანი ოპოზიციური ფრონტი, ისეთი, როგორიც იყო წინააღმდეგობის მოძრაობა სააკაშვილის წინააღმდეგ. ამ მოძრაობამ დაამარცხა სააკაშვილი. ახლა ჩვენ უნდა დავამარცხოთ ეს ხელისუფლება.

პარტიის ლიდერი აცხადებს, რომ თუ მათი მოთხოვნები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე არ დაკმაყოფილდა, გაზაფხულზე შიმშილობის ახალი აქცია დაიწყება.

– შევეცდებით, გავაკეთოთ ყველაფერი, რათა საარჩევნო გარემო გაუმჯობესდეს. მოვითხოვთ, ხელისუფლებამ გააკეთოს ის, რასაც თვითონ გვპირდებოდა, სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდა, – აღნიშნავს თარხან-მოურავი.

# ბინები საგრძნობლად გაიაფდა, მაგრამ მაინც არ იყიდება



არაპროგნოზირებადი ეკონომიკური გარემო, დოლარის გაძვირება და პარალელურად ეროვნული ვალუტის დასუსტება, კლიენტურა, რომლის მსყიდველობითუნარიანობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ძალიან შემცირდა – ეს იმ მიზეზთა არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც უძრავი ქონების ბაზარს სერიოზული ზიანი მიაყენა.

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები ყველაზე მტკივნეულად უძრავი ქონების ბაზარს შეეხო, სამშენებლო კომპანიებში აცხადებენ, რომ სავალუტო კრიზისის გამო ამ სექტორში სტაგნაციაა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში დედაქალაქის მთელ ტერიტორიაზე ბინების რეალიზაცია ძალიან შემცირდა, რადგან ბინის შეძენის მსურველები სესხის აღებას ერიდებიან და კურსის დაბალანსებას ამაოდ ელოდებიან.

როგორც სამშენებლო კომპანია „მონოლით ჯგუფის“ დამფუძნებელი ზვიად დარახველიძე ამბობს, თუ ასე გაგრძელდა, ბინების ფასი კიდევ უფრო შემცირდება.

– თუ დოლარი ამ ნიშნულზე ანუ 2,5-ზე გაჩერდება, გაიაფების ტენდენცია გაგრძელდება. თუ პროდუქციის გაყიდვა გინდა, ფასები უნდა შეამცირო. სწორედ ამიტომ, ბოლო თვეებში უძრავი ქონების ფასი შემცირდა და ალბათ კიდევ უფრო შემცირდება. თუ დოლარის კურსი ამ ნიშნულზე გაჩერდება, ან უფრო გაძვირდება, უფრო დიდი სტაგნაცია გვექნება, მით უმეტეს, რომ მოსახლეობის 75-80% პროცენტი ბინებს იპოთეკური სესხით ყიდულობს, – ამბობს დარახველიძე.

ლარის გაუფასურების გამო იპოთეკარებს დანახარჯი მოემატათ. საქართველოში საშუალო ფენა არ არსებობს, იპოთეკარი კი საშუალოზე დაბალი ფენის წარმომადგენელია, რომლისთვისაც თვეში 100-150 ლარი ბევრს ნიშნავს.

– საქართველოში უძრავი ქონების გაყიდვის მთავარი პუნქტი თბილისია, მერე მოდის ბათუმი. პირდაპირი ყიდვის წესით ბინას მხოლოდ 10% ყიდულობს, დანარჩენი ბანკებზეა დამოკიდებული. ბანკებმა პროცენტი მცირედით შეამცირეს – ადრე იპოთეკური სესხის პროცენტი 9% იყო, ახლა 8,5-8,00%-ია. ეს არის რაღაც შეღავათი, მაგრამ არც იმდენი, რომ უძრავი ქონების ბაზარზე სიტუაცია შეცვალოს. თუ დოლარი 2,5 ნიშნულზე გაჩერდა, სამშენებლო სექტორი იძულებული გახდება, ბინები კიდევ უფრო გააიაფოს, – ამბობს დარახველიძე.

„ორბი ჯგუფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში გვითხრეს, რომ მათი ბინების ფასებზე დოლარის გაძვირება ჯერ არ ასახულა, ბინების ფასი არ შემცირებულა, თუმცა ის რაოდენობა არ იყიდება, რამდენიც ბუმის დროს ეყიდებოდათ.

სამშენებლო სექტორში სტაგნაციის ნიშნებს ხედავს დეველოპერული კომპანია „აიჯიეს ჯგუფის“ ფინანსური მენეჯერი, უძრავი ქონების ექსპერტი შოთა გუჯაბიძეც.

– სტაგნაცია მართლაც შეიმჩნევა და ამ პროცესზე ვალუტის კურსის ვარდნამ დიდი გავლენა იქონია. საერთოდ, ჩვენს ბაზარს ახასიათებს მდგრადობა მსგავსი შოკების მიმართ. მაგალითად: 2014 წელს ლარის კურსი დაეცა 1,72-დან 1,86-მდე, მაგრამ ამ პერიოდში უძრავი ქონების ბაზარზე ზრდა ინერციით, მაგრამ მაინც გაგრძელდა. 2015 წელს ლარი 1,88-დან 2,45-მდე დაეცა. ბაზარმა ასეთ მასშტაბურ დატვირთვას ველარ გაუძლო და დოლარის გაძვირებას ფასების ვარდნაც მოჰყვა.

ამ ეტაპზე ფასები ძალიან დავარდნილია და სიტუაციის შეცვლას ჯერჯერობით არც უნდა ველოდოთ, მით უმეტეს, რომ მიმდინარე წელი არჩევნების წელია და სანამ არჩევნების შედეგები ცნობილი არ გახდება, არც ეკონომიკური სიტუაციის დაბალანსებაა მოსალოდნელი და არც უძრავი ქონების ბაზრის, – მიიჩნევს შოთა გუჯაბიძე.

მისი აზრით, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში არანაკლებ რთული სიტუაციაა.

– ჩვენი ანალოგი ქვეყნების მაგალითს თუ განვიხილავთ, როგორებიცაა მოლდოვა, ბალტიის ქვეყნები და სხვა, არც იქ არის სახარბიელო მდგომარეობა. მეტსაც გეტყვით: 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ამ ქვეყნებში ვარდნა დაფიქსირდა და იმის შემდეგ აღარც შეწყვეტილა, დღემდე გრძელდება, – აცხადებს შოთა გუჯაბიძე.

მათგან განსხვავებით, ჩვენს სამშენებლო ბაზარს 2010 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი წინსვლა ჰქონდა. იყო მცდელობა სამშენებლო სექტორის გაფართოებისა და ფასების მომატებისა, მაგრამ ბოლოდროინდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციას უძრავი ქონების ბაზარმა ველარ გაუძლო და უკვე მეორე ვარდნა დაფიქსირდა.

– ლარის გაუფასურებას კიდევ უფრო დიდი ვარდნა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ძირითადი სამშენებლო მასალები – ბლოკი, ცემენტი, არმატურა გაიაფდა, რადგან ეს პროდუქცია მეზობელი ქვეყნებიდან შემოგვაქვს, სადაც დევალვაციის დონე უფრო მაღალია. ასე რომ, მშენებლობის ხარჯები არ გაძვირებულა, მაგრამ ეს შეღავათი სხვა, უფრო ძლიერმა ფაქტორებმა გადაწონა, – ამბობს უძრავი ქონების ექსპერტი.

შოთა გუჯაბიძის თქმით, ჩვენი ქვეყნის სამშენებლო სექტორს ყველაზე დიდი დარტყმა მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის შემცირებამ მიაყენა.

– თუ ადამიანს აქვს ხელფასი 1.000 ლარის ოდენობით, ეს უკვე აღარ უდრის ხელფასს, რომელიც 3 წლის წინ ჰქონდა, მით უმეტეს, უძრავი ქონება ჩვენთან დოლარებში იყიდება. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფასების დიდი ვარდნა დაფიქსირდა. ბინები არამარტო გაიაფდა, აღარც იყიდება – ხალხს არ აქვს საშუალება, რომ შეიძინოს, – აცხადებს ექსპერტი.

სამშენებლო კომპანიები მიმართავენ წამახალისებელ მარკეტინგულ სვლებს, აქციებს, რომ კიდევ უფრო ნაკლებ ფასად შესთავაზონ მყიდველს, მაგრამ ბინების რეალიზაცია მაინც ძალიან გაძნელდა.

– ფასების მატება უახლოეს 1-2 წელიწადშიც არ არის მოსალოდნელი, თუმცა, მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელსაც შემოსავალი დოლარში აქვს, ეს კარგიცაა: მათ ახლა შეუძლიათ შეიძინონ ბინები და კომერციული ფართები, რომლებიც საკმაოდ ხელსაყრელ ფასად იყიდება, – აღნიშნავს შოთა გუჯაბიძე.

ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი

# თუ მოთამაშეს არ აქვს შემოსავალი, თამაში უნდა აეკრძალოს

## რა უნდა გაკეთდეს საქართველოში ინტერნეტკაზინოების შესაზღუდად

ინტერნეტკაზინოების მიმართ მკაცრი რეგულაციების დაწესების ინიციატივით ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი გიორგი კვირიკაშვილი 2015 წლის ბოლოს გამოვიდა.

მას შემდეგ საკითხი საზოგადოებაში განხილვის საგანი გახდა და ახლა იმაზე მიდის მსჯელობა, თუ როგორ შეიძლება ინტერნეტკაზინოების შეზღუდვა. ჯერჯერობით ინიციატივა მხოლოდ ინიციატივის დონეზეა და უცნობია, რა ტიპის რეგულაციები ამოქმედდება ინტერნეტკაზინოების მიმართ.

ამბები.გე იმის გარკვევას შეეცადა, თუ როგორ შეიძლება სფეროს შეზღუდვა და რა ვითარებაა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში. საკითხზე ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოს ზურაბ კუკულაძეს ვესაუბრეთ.

აფბა ონლაინ-კაზინოების შეზღუდვის ინიციატივაზე მუშაობს და აპირებს, რეკომენდაციებით მიმართოს მთავრობას.

– ონლაინკაზინოების აკრძალვა პრობლემას ნამდვილად ვერ მოაგვარებს, იმიტომ რომ ამ სისტემაში ჩართულია საქართველოს დაახლოებით 400.000 მოქალაქე, შესაბამისად, ასე ერთი ხელის მოსმით ამ საკითხის გადაჭრა ვერ მოხდება. ჩვენი აზრით, ამ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია მკაცრი რეგულაციების შემოტანა, – აცხადებს ზურაბ კუკულაძე.

**– კონკრეტულად, რა შეიძლება გაკეთდეს, რომ ინტერნეტკაზინოები შეიზღუდოს?**

– პირველ რიგში, უნდა მოხდეს მოთამაშის სრულყოფილი იდენტიფიცირება ანუ უნდა შეიქმნას ერთიანი ბაზა, სადაც მოხდება მოთამაშის დარეგისტრირება და არა ისე, როგორც დღეს ხდება, რომ სრულწლოვანი იქნება თუ არასრულწლოვანი, ყველას შეუძლია ნებისმიერი თერთმეტნიშნა ციფრის კომბი-



ნაციით დარეგისტრირება.

მეორეც, აუცილებელია წაგებების ლიმიტების დაწესება. ეს უნდა იყოს მიბმული მოთამაშის შემოსავლებზე, თუ მოთამაშეს არ აქვს შემოსავალი, მაშინ მას უნდა აეკრძალოს თამაში.

მესამე რეკომენდაცია არის ის, რომ სახელმწიფოს, კერძოდ ფინანსთა სამინისტროს და შესაბამის სტრუქტურებს უნდა ჰქონდეს მაქსიმალური წვდომა ამ სისტემაში ფულის მოძრაობის არხებზე, რათა გაუმჯობესდეს თვითონ დარგის ადმინისტრირება და მაჩვენებლების დაცვა.

ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ შეიზღუდოს და მაქსიმალურად გაკონტროლდეს ფულის გათეთრების საკითხები. არსებობს ევროკავშირის შესაბამისი ინსტრუქცია, რომ ჩვენთან არსებული ონლაინკაზინოების სისტემა ფულის გათეთრების დიდ რისკს შეიცავს. იმ პირობებში, როდესაც მოთამაშე არ არის იდენტიფიცირებული, იმ პირობებში, როდესაც ფულის წაგებების ლიმიტი არ არსებობს, ფულის შეტანის ან გამოტანის ლიმიტები არ არსებობს და საერთოდ არ არის ცნობილი ამ ფულის წარმომავლობა, ეს ყველაფერი აჩენს ფულის გათეთრების რისკებს.

***– ამ რეგულაციების გატარებას დაახლოებით რა პერიოდი დასჭირდება?***

– ჩვენი ასოციაციის ინიციატივა და რეგულაციები გულისხმობს ონლაინკაზინოების მხოლოდ შეზღუდვას. მონდომების შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელია, რომ 6 თვეში რეალურად მოქმედი რეგულაცია ამუშავდეს.

***– ონლაინკაზინოებთან დაკავშირებით რა ვითარებაა სხვა ქვეყნებში?***

– შესწავლილი გვაქვს ევროკავშირის ძალიან ბევრი ქვეყანა, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება და მინდა გითხრათ, რომ ონლაინთამაშები პრაქტიკულად თითქმის ყველა ქვეყანაშია აკრძალული, ან, როგორც მინიმუმ, არსებობს წაგების ლიმიტები.

რატომ არის აუცილებელი წაგების ლიმიტები? იმიტომ, რომ ონლაინთამაშების და ზოგადად აზარტული თამაშების სისტემას აქვს ძალიან ბევრი უარყოფითი მხარე. ჩვენ შეიძლება ბევრი ვისაუბროთ მორალურ, ემოციურ და მსგავს სოციალურ ფაქტორებზე, რომელიც არის შედეგი, ხოლო მიზეზი არის ის, რომ აზარტული თამაშების მასობრიობა ეკონომიკაში ბევრ ნეგატიურ მომენტს იწვევს.

თეა ბეჟიტაშვილი, ამბები.გე

# რუსულმა ავიაკომპანიებმა მოსკოვი-თბილისის რეისებზე ფასი შეამცირეს

ორმა რუსულმა ავიაკომპანიამ მოსკოვი-თბილისის მიმართულებით პირდაპირ რეისებზე ბილეთების ფასი შეამცირა.

კომპანია „აეროფლოტი“ მსურველს ბილეთებს – 10.500 რუბლიდან, კომპანია „S7“ კი 9.300 რუბლიდან სთავაზობს.

„აეროფლოტის“ ბილეთის ფასში ბარგის ღირებულებაც შედის. „აეროფლოტის“ აქცია მარტის ბოლომდე იმოქმედებს.



# თბილისის მერია ძუძუს კიბოს მკურნალობას დააფინანსებს

## ძალიან სერიოზული პროგრამა ონკოლოგიაში

ნათია ხურცილავა

თბილისის მერია ახალი ინიციატივით გამოდის. მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ადრეული ძუძუს კიბოს მკურნალობის დაფინანსების პროგრამას განახორციელებს.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 3 მილიონი ლარია და მისი მიზანია ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და მკურნალობის სრული კურსის ჩატარება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს (HER2-დადებითი) ძუძუს ადრეული კიბოს (I-III სტადია) მქონე პირებისთვის პრეპარატ ჰერცეპტინის დაფინანსებას.

თბილისის მერია, ქვეპროგრამის ფარგლებში, პაციენტებს პრეპარატის მაქსიმუმ 1-წლიანი კურსისთვის საჭირო თანხას აუნაზღაურებს. ამასთან, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 150.000-ს არ აღემატება, მედიკამენტი სრულად დაუფინანსდებათ, ხოლო ყველა სხვა პირს – 80%-ით.

ქვეპროგრამაში ჩაერთვებიან, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც ადრეული ძუძუს კიბოს დიაგნოზი (I-III სტადია) აქვთ და უნდა ჩაუტარდეთ ნეოადიუვანტურ/ადიუვანტური მკურნალობა.


რემა ღვამიჩავა

ქვეპროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარის ერთწლიანი კურსი (13 ფლაკონი ჰერცეპტინი) სოციალურად დაუცველ პირთა შემთხვევაში 35.100 ლარით დაფინანსდება, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში – 28.080 ლარით.

2006 წლიდან აშშ-ის და ევროპის ონკოლოგთა ასოციაციები HER2-დადებითი ძუძუს კიბოს შემთხვევაში რეკომენდაციას აძლევენ ჰერცეპტინით მკურნალობას, რომელიც 40-45%-ით ამცირებს რეციდივის რისკს, ზრდის მკურნალობის ეფექტურობას და ადრეულ სტადიაში განკურნებასაც განაპირობებს. პრეპარატი ჰერცეპტინი (საერთაშორისო დასახელება – ტრასტუზუმაბი) 2013 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ესენციური (აუცილებელი) მედიკამენტების ნუსხაში შეიტანა.

აღსანიშნავია, რომ ჰერცეპტინით დაფინანსების თვალსაზრისით, სახელმწიფოს, კონკრეტულ შემთხვევაში კი თბილისის მერიის მიერ მიზნობრივი პროგრამის განხორციელება უპრეცედენტო შემთხვევაა.

ქვეპროგრამა თბილისის საკრებულოს მიერ წესის დამტკიცების შემდგომ ამოქმედდება და მოსარგებლეები მერიაში მომართვისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ ჰერცეპტინის დაფინანსების საგარანტიო წერილს მიიღებენ.

ქვეპროგრამაში წარსადგენად მოსარგებლე პირმა უნდა წარმოადგინოს: განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, მკურნალობის მიმწოდებელი დაწესებულებებიდან გაცემული მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობები (ფორმა №IV-100/ა), რომლებიც გაცემული უნდა იყოს განცხადების წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე.

ამასთან, ტარგეტული თერაპიის მიმწოდებელი დაწესებულების მიერ გაცემულ ფორმა №IV-100/ა-ში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს მოსარგებლის წონა, ჩასატარებელი ტარგეტული თერაპიის სქემა.

დედაქალაქის მერიაში გამართულ პრეზენტაციას საკრებულოს ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე და მამოლოგ-ონკოლოგები ესწრებოდნენ.

**საკრებულოს ჯანდაცვის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი:**

– საკრებულომ დაამტკიცა დედაქალაქის მერიის ინიციატივა ძუძუს კიბოს ადრეული მკურნალობის შესახებ. ჰერცეპტინი არის პრეპარატი, რომლის გამოყენებაც ხდება სწორედ ძუძუს კიბოს მკურნალობისას. ამ პრეპარატის ერთი კოლოფის საბაზრო ღირებულება არის 5.500 ლარი. მკურნალობის სრული კურსისთვის კი დაახლოებით 13 კოლოფია საჭირო. დაახლოებით 100 ათასი ლარი ჯდება მისი სრული კურსის ჩატარება.

ბიუჯეტში არის გამოყოფილი აღნიშნული პროგრამისთვის 3 მილიონ 20 ათასი. იყო მოლაპარაკება პრეპარატ ჰერცეპტინის მწარმოებელ კომპანიასთან, რომელიც დათმობაზე წამოვიდა და ნახევარ ფასში მოხდა შეთანხმება.

***– ვინ შედის ამ პროექტში, საზოგადოების რა ნაწილი?***

– აბსოლუტურად ყველა, მხოლოდ სრულად დაფინანსდებიან სოციალურად დაუცველები ანუ 100%. რაც შეეხება დანარჩენებს მათ დაუფინანსდებათ 80%. თანადაფინანსება მსოფლიოშია აპრობირებული.

რაც მთავარია, პრეპარატს აქვს შესანიშნავი შედეგები და ამ პრეპარატით მკურნალობა განკურნების წინაპირობაა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ სწორედ ამ პრეპარატზე გააკეთა აქცენტი და ის მიიჩნია მკურნალობის ოქროს წესად. ეს არის მართლაც უპრეცედენტო პროგრამა. ბევრ ქვეყანას არ აქვს საშუალება, რომ ეს პროგრამა ჰქონდეს და ამ პრეპარატით უმკურნალოს თავის მოქალაქეებს.

***– ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არ არის პრეპარატის ცდის ნაწილი?***

– რა თქმა უნდა, ეს არის პრეპარატი, რომელიც მთელ მოწინავე დასავლეთის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებშია აპრობირებული და ეს არის ის პრეპარატი, რომელზეც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გასცა რეკომენდაცია. ის 2006 წლიდან არის გამოყენებული. ყველა დონეზე გადამოწმებული და დადასტურებული პრეპარატია, უამრავი ექსპერტი მონაწილეობდა ამ პროცესში. ძვირია, მაგრამ ეფექტურია და ამიტომაც იქნა არჩევანი ჰერცეპტინზე შეჩერებული.

ჯანდაცვის სამინისტრო ფიქრობს ამ პროგრამაზე და შეიძლება ის მთელი ქვეყნის მასშტაბითაც გავრცელდეს.

**რემა ღვამიჩავა, ეროვნული სკრინინგ ცენტრის დირექტორი, ონკოლოგი:**

– თბილისის მერიაში დამტკიცდა შესანიშნავი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ძუძუს კიბოს ნეოადიუვანტურ-ადიუვანტურ მკურნალობას პრეპარატ ჰერცეპტინით.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და საშური პროგრამა, რადგანაც დაახლოებით ძუძუს კიბოთი დაავადებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი 16-18 პროცენტს შეადგენს, რომლების მკურნალობისთვისაც ერთ-ერთ საჭირო და მნიშვნელოვანი კომპონენტი არის პრეპარატ ჰერცეპტინით მკურნალობა. აღნიშნული პრეპარატით მკურნალობა მიღებული და აპრობირებულია მთელ მსოფლიოში. უკვე დაახლოებით 10 წელია, რაც ონკოლოგიაში დადგინდა და მიღებულია, რომ ჰერცეპტინით მკურნალობა არის ოქროს სტანდარტი.

***– როგორია ჰერცეპტინით მკურნალობის შედეგები? გამოჯანმრთელების სრულ შესაძლებლობას თუ იძლევა ეს პრეპარატი?***

– ამ ჯგუფის პაციენტებში ჰერცეპტინით მკურნალობა არის საუკეთესო და მას აქვს შესანიშნავი შედეგები, მაგრამ საქართველოში პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ამ შემთხვევაში ჰერცეპტინის მაღალი ფასის გამო ის ხელმიუწვდომელი იყო ჩვენი პაციენტებისთვის. საკმაოდ ძვირადღირებული პრეპარატი გახლავთ.


გია ნემსაძე

ჰერცეპტინი არის შვეიცარიული კომპანიის „როშის“ მიერ წარმოებული ბრწყინვალე პრეპარატი, რომელიც გადის ე.წ. მიზნობრივ პრეპარატებში. მიზნობრივი ანუ როდესაც კონკრეტულად ამა თუ იმ შემთხვევისთვის არის გამოყენებადი.

***– ბატონო რემა, პროგრამაზე რას გვეტყვით, მის მნიშვნელობაზე?***

– პროგრამა მართლაც რომ შესანიშნავია. სწორედ მერიის მიერ დამტკიცებულმა ამ პროგრამამ მისცა შესაძლებლობა საქართველოში მცხოვრებ ქალებს, რასაკვირველია, ვინც არის დაავადებული, რომ აღნიშნული მკურნალობა ჩაიტარონ და გამოჯანმრთელდნენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და კეთილშობილური საქმეა. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ აღნიშნული მკურნალობის დაფინანსება მერიის მხრიდან ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია. აქვე კომპანია „როშის“ მიდგომაზეც ვიტყოდი, რომელმაც სახელმწიფოს დაინტერესება დააფასა და ფასები შეცვალა. სახელმწიფოსა და კერძო სექტორის კარგმა ურთიერთობამ მოგვცა ბრწყინვალე შედეგი.

***– ჰერცეპტინით მკურნალობა ევროპაში აპრობირებული თუ არის?***

– რასაკვირველია, მთელ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰერცეპტინით მკურნალობა დანერგილი მეთოდია. ასევე მას იყენებენ იაპონიაში. ეს არის პრეპარატი, რომლის ანალოგიც, რომელსაც აქვს ასეთი წარმატებული შედეგები სიმსივნეების წინააღმდეგ, მეორე არც კი არსებობს მსოფლიოში.

***– ზოგადად კიბოს სკრინინგის პროგრამაზე რას გვეტყვით?***

– ეს არის ძალიან სერიოზული პროგრამა ონკოლოგიაში, რომელიც სახელმწიფომ დააფინანსა. ძალიან პოპულარული პროგრამაა, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ხელმისაწვდომობა არის როგორც გეოგრაფიული, ასევე ფინანსური კუთხით. ამ პროგრამის ფარგლებში ყველა სამედიცინო კვლევას სახელმწიფო აფინანსებს თბილისა თუ რეგიონებში. აქ ხდება ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, მსხვილი ნაწლავისა და პროსტატის კიბოს სკრინინგი.

არსებობს ერთიანი ცხელი ხაზი, რომელზეც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, მე ხაზს ვუსვამ, მათ შორის ცხინვალსა და სოხუმში მცხოვრებთ, შეუძლიათ დარეკონ და სრული ინფორმაცია მიიღონ.

***– ბატონო რემა, ადრეულ სტადიაზე ძუძუს კიბო რამდენად განკურნებადია?***

– ძუძუს კიბო იქნება, მსხვილი ნაწლავის, კანის თუ სხვა ნებისმიერი ორგანოს ადრეულ სტადიაზე გამოვლენილი კიბო ისეთივე განკურნებადია, როგორიც ნებისმიერი სხვა დაავადება.

დღეს კიბო არ არის სასიკვდილო განაჩენი, თუ ის დროულად იქნა აღმოჩენილი. სწორედ სკრინინგის მადლი მდგომარეობს იმაში, რომ ბევრ შემთხვევაში ჩვენ ვიგებთ დაავადებას იმ სტადიაზე, როდესაც კიბო არ არის განვითარებული და მისი სწორი დიაგნოზირებისა და მკურნალობის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია, ადამიანს თავიდან ავაცილოთ, ხოლო თუ კიბო მაინც არის განვითარებული, მაშინ ხდება კიბოს იმ ადრეული ფორმების დაჭერა და გამოვლენა, რა დროსაც მკურნალობის ეფექტურობა მაქსიმალურია და მისი სრული განკურნება აბსოლუტურად რეალურია. ამის არაერთი მაგალითი გვაქვს საქართველოში.

**გია ნემსაძე, ონკოლოგი, მამოლოგი:**

– პრეპარატი ჰერცეპტინი ძალიან ძვირადღირებულია. თუმცა, ეს პრეპარატი ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა ძუძუს კიბოს მკურნალობისთვის. მისი გამოყენება ხდება სხვადასხვა ფორმის ძუძუს კიბოს შემთხვევების აღმოჩენისას. ჰერცეპტინით მკურნალობა მიზნობრივი თერაპიის შემადგენელი ნაწილია.

***– როგორია ამ პრეპარატით მკურნალობის შედეგები?***

– ძალიან მაღალი და კარგი შედეგები აქვს. ამ პრეპარატს მთელი მოწინავე ქვეყნები იყენებენ, აპრობირებულია დასავლეთ ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. შესანიშნავი წამალია და აქვს ძალიან კარგი შედეგები, მაგრამ ძალიან ძვირადღირებულია, ამიტომ ვერ ხერხდებოდა მისი აქამდე ასე ფართოდ გამოყენება.

საქართველოში მისი შეძენა ადამიანებს უჭირდათ, ამიტომ სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში კონკრეტულად დედაქალაქის მერიამ, აიღო პასუხისმგებლობა და ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი, რასაც მხოლოდ მივესალმები. ეს ნამდვილად კარგი საქმეა.

**ანა მაზანაშვილი, „ევროპა დონა საქართველოს“ წარმომადგენელი:**

– ჰერცეპტინი არის დამიზნებითი თერაპიის პრეპარატი. ეს არის ძალიან ეფექტური საშუალება, რომელიც სიმსივნის უჯრედებს ანადგურებს. გამოჯანმრთელების ხარისხი მაღალია. ეს მნიშვნელოვანი მკურნალობაა.


ანა მაზანაშვილი

ადამიანები ვერ ახერხებდნენ, შეეძინათ ეს პრეპარატი, რადგან ის ძალიან ძვირადღირებულია. ბევრჯერ მივმართეთ სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტანციას, ძალიან დიდი გზა გავიარეთ, მოგვისმინეს საჭირო ადამიანებმა, გულთან მიიტანეს პაციენტების გასაჭირი და შემუშავდა ძვირფასი პროექტი, რომლის დაფინანსებაც მერიამ აიღო თავის თავზე.

ძალიან დიდი მადლობა ამისთვის დავით ნარმანიას, ირაკლი ფავლენიშვილსა და სხვებს, რადგან ადამიანებს მიეცემათ საშუალება, ჩაიტარონ მკურნალობა, სიცოცხლე შეინარჩუნონ და დაუბრუნდნენ სრულფასოვან ცხოვრებას.

## საქართველო ფრიდომ ჰაუსის რეიტინგში

ფრიდომ ჰაუსი 7-ბალიანი სისტემით აფასებს ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას თავისუფლებისა და დემოკრატიის კუთხით. გულდასმითი ანალიზის შედეგად განისაზღვრება, აღნიშნული ქვეყანა ავტორიტარულია, თავისუფალი თუ ნაწილობრივ თავისუფალი. უმაღლესი შეფასება 1 ბალია, უმდაბლესი – 7.

FREEDOM HOUSE

საქართველო ფრიდომ ჰაუსის უკანასკნელი შეფასებით ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების რიცხვს მიაკუთვნეს, თუმცა ჩვენ კავკასიის რეგიონის ბევრ ქვეყანას გავუსწარით. მდგომარეობა საქართველოში 3 ბალით შეაფასეს, სომხეთში – 5-ით, აზერბაიჯანში – 7-ით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი „სადავო ტერიტორიების რიცხვს მიაკუთვნეს. სამხრეთ ოსეთში შექმნილი მდგომარეობა 7 ბალით იქნა შეფასებული, აფხაზეთში – 6 ბალით.

## რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა თურქეთის საჰაერო სივრცე კვლავ დაარღვია

რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი თურქეთის საჰაერო სივრცეში კვლავ შეიჭრა. ამის თაობაზე ბიბისი იტყობინება.



თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამასთან დაკავშირებით რუსეთის ელჩი დაიბარა და საპროტესტო ნოტა გადასცა.

– რუსული თვითმფრინავი ჩვენს მრავალგზის გაფრთხილებებზე არ რეაგირებდა. ამასთან დაკავშირებით კატეგორიულ პროტესტს გამოვთქვამთ! – ნათქვამია თურქეთის ნოტაში.

პენტაგონის წარმომადგენელმა მარკ რაიტმა რუსების მიერ თურქული საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტი დაადასტურა. რაიტმა როგორც მოსკოვს, ისე ანკარას მოუწოდა, კონფრონტაციაზე უარი თქვან და ყველაფერი მოლაპარაკებების მაგიდასთან გადაწყვიტონ. ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა რუსეთს მოუწოდა, სხვა ქვეყნების საზღვრებს პატივი სცენ.

– თურქეთის საგარეო სივრცის დარღვევამ ისედაც დაძაბული საერთაშორისო ვითარება კიდევ უფრო დაძაბა! ეს რუსეთ-ნატოს შორის დიალოგს შეუძლებელს ხდის, – ამბობს სტოლტენბერგი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

საერთაშორისო

## ყაზახეთში პრორუსული ლობის წარმომადგენელი დააპატიმრეს

ყაზახეთის პოლიციამ ლუდსახდელი ქარხნების მფლობელი მსხვილი ბიზნესმენი ტაჰარ ტულეშოვი დააპატიმრა. მას ბრალად კორუფცია და თანხის დიდი ოდენობით გატაცება ედება.



ტულეშოვი მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან და ყაზახეთში რუსეთის ერთ-ერთ უმძლავრეს საყრდენად ითვლებოდა. სწორედ ტულეშოვის მეშვეობით შეინარჩუნეს რუსებმა მათთვის ხელსაყრელ ეკონომიკური კავშირები ყაზახეთთან. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ტულეშოვის დაპატიმრება რუსეთ-ყაზახეთის ურთიერთობების დაძაბვას გამოიწვევს.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ვიტოლდ ვაშჩიკოვსკი: „აღმოსავლეთის პარტნიორობამ კრახი განიცადა!“

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტოლდ ვაშჩიკოვსკიმ პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილი ვითარების ანალიზი მოახდინა. მინისტრის აზრით, დასავლეთი საკმაო ყოყმანის შემდეგ ბალტიისპირეთის ევროპაში ინტეგრაციაზე დათანხმდა, რაც უდავოდ სწორი ნაბიჯი იყო. დღეს ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ნატოსა და ევრო-კავშირის წევრები არიან.

— წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ბალტიის სახელმწიფოები ნატოში რომ არ მიეღოთ! პუტინი 1940 წლის სცენარს გაიმეორებდა და რუსული ტანკები უკვე რიგაში, ვილნიუსსა თუ ტალინში იდგებოდნენ, — ამბობს ვაშჩიკოვსკი.



პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში შექმნილ მდგომარეობასაც მიმოიხილავს. ის ამომწურავად ხსნის იმ პრობლემების მიზეზებს, რომლებმაც ეს სახელმწიფოები მოიცვა.

— საბჭოთა კავშირი კრიმინალური სახელმწიფო გახლდათ, — აცხადებს ვაშჩიკოვსკი, — იქ არ არსებობდნენ კლასები, მაგრამ არსებობდნენ კორუმპირებული კლანები.

იმპერია დაინგრა, რომანტიზმის ეპოქა დასრულდა. რევოლუციურმა ეიფორიამაც გადაიარა. ხელისუფლებაში მოვიდნენ ისინი, ვინც რეალურ ძალას წარმოადგენდა. ბორის ელცინი, ვაშჩიკოვსკის აზრით, თავის დროზე პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, ოღონდ ერთი პირობით: ის უნდა გადაქცეულიყო გარდამავალ ფიგურად და გზა უნდა გაეხსნა უცხოეთში განათლებამიღებული ახალგაზრდებისათვის, რომლებიც პარტიულ ნომენკლატურას არ განეკუთვნებოდნენ. ელცინმა ეს ვერ შეძლო. რუსეთი ქაოსმა მოიცვა.

— ამის შემდეგ ელცინი ან „ქურდულ სამყაროს“ უნდა ჩაენაცვლებინა, ან არმიას, ან სუკს. პუტინის სახით ხელისუფლებაში სუკი მოვიდა, — თქვა ვაშჩიკოვსკიმ.

სსრკ-ის დანარჩენ ტერიტორიაზე კი ხელისუფლებას პარტნომენკლატურა დაეპატრონა. აზერბაიჯანსა და ყაზახეთში ე.წ. „განათლებული მონარქიები“ დამყარდა. საქართველოში ედუარდ შევარდნაძემ ტიპიური ბანანის რესპუბლიკა (ოღონდ უბანანოდ) შექმნა. უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში კი შუა საუკუნეების ეპოქა აღდგა, როცა ამ მხარეს ხანები და ემირები განაგებდნენ. ემირების როლში ყოფილი პარტფუნქციონერები მოგვევლინნენ. შედეგად აყვავდა კორუფცია, გაიფურჩქნა ნარკო-ბიზნესი, იარაღით უკანონო ვაჭრობა. უმცირესობა ძალიან გამდიდრდა, უმრავლესობა კი ძალიან გაღატაკდა. ბუნებრივია, ყველაფერმა ამან ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთის იმპერიისადმი საერთო სიძულვილმა ხელი შეუწყო იმას, რომ საბჭოთა კავშირის აღდგენა არავინ მოინდომა. შუა აზიაში წარმოიშვა ისლამური ფუნდამენტალიზმი, საქართველოსა და უკრაინაში კი ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციები მოხდა. დასავლეთისათვის ცხადი გახდა, რომ უმოქმედობა აღარ შეიძლებოდა, თუმცა ევროპას არც მეტისმეტი პასუხისმგებლობის აღება სურდა.

— ასე დაიბადა აღმოსავლეთის პარტნიორობის იდეა, რომელსაც საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, სომხეთისა თუ აზერბაიჯანის დასავლეთში ინტეგრაცია უნდა უზრუნველეყო, — ამბობს ვაშჩიკოვსკი.

პოლონელი მინისტრი შენიშნავს, რომ დასავლეთი კვლავაც გაუბედავი და არათანმიმდევრული იყო. პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ევროკავშირში გაწევრიანების გარანტია არ მისცეს. მათთან ურთიერთობებიც უსისტემო ხასიათს ატარებდა. რუსეთმა ცადა, შექმნილი ვითარებით ესარგებლა და ინიციატივა გამოეგლიჯა. სწორედ ამან გამოიწვია „ღირსების რევოლუცია“ უკრაინაში. რუსული გავლენის აღდგენის საფრთხემ მილიონობით ადამიანი ქუჩაში გამოიყვანა. იანუკოვიჩმა ცადა, ამისათვის ძალა დაეპირისპირებინა. დაიღვარა სისხლი. რუსეთმა, დადგა რა უკრაინის დაკარგვის საფრთხის წინაშე, ცადა, ომი გაეჩაღებინა.

— მომხდარისაგან ყველამ გაკვეთილი უნდა მივიღოთ, — ამბობს პოლონელი მინისტრი.

ვაშჩიკოვსკი ხაზგასმით აცხადებს, რომ უკრაინაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, აგრეთვე ის, რომ სომხეთი და ბელორუსი ევრაზიული კავშირის წევრები გახდნენ და რუსულ გავლენის სფეროში დარჩნენ, დასავლეთის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა.

— აღმოსავლეთის პარტნიორობამ სრული კრახი განიცადა, — აცხადებს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ვაშჩიკოვსკი აღნიშნავს, რომ აუცილებელია ახალი, უფრო რეალისტური პროგრამის შემუშავება. დასავლეთის მოქმედებაც უფრო თანმიმდევრული უნდა იყოს. კერძოდ, იმ ქვეყნებს, რომელთაც დასავლეთში ინტეგრაცია სურთ, უნდა მიეცეთ გარანტია, რომ გარკვეული მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში (დემოკრატიული რეფორმები, სამხედრო რეფორმა და ა.შ.) ისინი ევროკავშირის წევრები გახდებიან. ასევე აუცილებელია კონკრეტული მექანიზმის შემუშავება, რომელიც რუსეთის აგრესიის განეიტრალებას უზრუნველყოფს და ახალი. „ჰიბრიდული ომის“ გაჩაღებას არ დაუშვებს.

— სხვაგვარად ვითარება კიდევ უფრო დამძიმდება, რაც დემოკრატიულ სამყაროს ძალიან ძვირად დაუჯდება, — აცხადებს ვაშჩიკოვსკი.

**ნიკა თევზაძე**

# კადიროვი თავის რეპერტუარშია



ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების ლიდერმა რამზან კადიროვმა აშშ მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებაში დაადანაშაულა. მისი აზრით, პუტინის დადანაშაულება კორუფციაში შემთხვევითი როდია. ამერიკელები რუსეთზე დარტყმას ამზადებენ. მათი მიზანია რუსეთი ახალ ავღანეთად, ლიბანად, ერაყად გადააქციონ, ცეცხლში გახვიონ, როგორც თავის დროზე იუგოსლავიაში მოხდა.

— ევროპის ქვეყნები კარგა ხანია აშშ-ის ვასალებად გადაიქცნენ. ამერიკას ვასალები უკვე ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზეც გამოუჩნდა. ესენია ბალტიისპირეთის სახელმწიფოები და უკრაინა, — აცხადებს კადიროვი.

ღრმად პატივცემული ბატონი რამზანი თვლის, რომ რუსეთმა უნდა სასწრაფოდ შეიყვანოს ჯარები ბალტიისპირეთში და ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ოკუპაცია მოახდინოს. ბალტიელები, მისი აზრით, ქალაჩუნები არიან და წინააღმდეგობის გაწევას ვერ გაბედავენ, აშშ და ევროპა კი, დადგებიან რა რუსეთთან ომის რეალური საფრთხის წინაშე, უკან დაიხევენ.

— ჩვენ მათ ველოლიავებით, პარტნიორებად მოვიხსენიებთ. ისმის კითხვა, სადაური პარტნიორია დასავლეთი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულებებს აწყობს, ხელოვნურად აგდებს ფასებს ნავთობზე და ყველაზე შავბნელ აგრესიულ ელემენტებს აიარაღებს?! — აცხადებს კადიროვი.

პუტინის ნაცვალმა ჩეჩნეთში არც უკრაინა დაივიწყა. მისი აზრით, აუცილებელია უკრაინის მიმართ „ბინძური ატომური ბომბის“ გამოყენება. ის თურმე პატარა რადიუსზე მოქმედებს და მხოლოდ რამდენიმე ქალაქის მოსახლეობას ამოწყვეტს. სამაგიეროდ, უკრაინელები ჭკუას ისწავლიან და იარაღის ჟღარუნს შეეშვებიან.

— ამერიკას რომ თავის დროზე იაპონიის წინააღმდეგ ატომური ბომბი არ აეფეთქებინა, ახლაც ომი იქნებოდა! თუკი გვსურს, დონბასში მშვიდობა დამყარდეს, გარკვეულწილად დაუნდობელნიც უნდა ვიყოთ! — აცხადებს კადიროვი.

რაც შეეხება უკრაინული პრობლემის მოგვარებას, ჩეჩნეთის პრორუსული ხელისუფლების მეთაურს ამის მიმართაც მზამზარეული რეცეპტი გააჩნია. მისი აზრით, უკრაინის ყველა რეგიონში უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი და მოსახლეობამ თავისი სურვილი დააფიქსიროს, სურს თუ არა უკრაინული სახელმწიფოებრიობა. უნდათ? გზას დავულოცავთ. უნდათ, ევროკავშირისაკენ წავიდნენ, უნდათ — ნატოსკენ. ვისაც რუსეთი სურს, ის რუსეთს უნდა შეუერთდეს.

— ამის შემდეგ უკრაინული პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება, რუსეთის ავტორიტეტიც მთელ მსოფლიოში ამაღლდება, რადგანაც ძლიერებს მუდამ პატივს სცემენ! — „ბრძნულად“ ასკვნის კადიროვი.

## ტრამპი და ჰილარი კლინტონი კვლავ ლიდერობენ



1 თებერვალს აიოვას შტატში რესპუბლიკელებისა და დემოკრატების შიდაპარტიული არჩევნები გაიმართება. თანახმად უკანასკნელი გამოკითხვებისა, აიოვას შტატში შემდეგი მდგომარეობაა: ჰილარი კლინტონს მხარს უჭერს 45 პროცენტი, მის მოწინააღმდეგე სანდერსს 38 პროცენტი. რესპუბლიკელებს შორის ლიდერობს ტრამპი — 28 პროცენტი. მის უახლოეს კონკურენტ კრუზს მხარს 27 პროცენტი უჭერს.

## თურქეთს აზერბაიჯანთან და შუა აზიასთან დაახლოება სურს

რუსეთთან კონფლიქტის შემდეგ თურქეთში მთელი სიმწვავით დადგა რუსული გაზის ალტერნატივის მოძიების საკითხი. პირველი ქვეყანა, რომელსაც თურქეთის პრემიერი დავუთოღლუ ოფიციალური ვიზიტით უნდა ესტუმროს, აზერბაიჯანია.



— თურქები და აზერბაიჯანელები მონათესავე ხალხია. ბაქოსა და ანკარის ურთიერთობებიც დამყარებულია პრინციპზე: „ერთი ხალხი, ორი სახელმწიფო“, — იტყობინება „ამერიკის ხმა“.

თურქული წარმოშობის ხალხი ცხოვრობს შუა აზიაშიც (გარდა ტაჯიკეთისა). ანკარამაც ამ რეგიონს ყურადღება მიაპყრო, თუმცა არსებობს სერიოზული პრობლემა. აზერბაიჯანს რუსეთის ფაქტორის იგნორირება გაუჭირდება, რადგანაც რუსეთი სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დარეგულირებაში კვლავაც ძირითად როლს თამაშობს.

— უკანასკნელ ხანს სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ურთიერთობები დაიძაბა, — იტყობინება „ამერიკის ხმა“.

რაც შეეხება შუა აზიას, აქ რუსეთის გავლენა კვლავაც ძლიერია. შემთხვევითი როდია, რომ ყირგიზეთის პრემიერმა თურქებს ურჩია, წინა ჩამოგდებული რუსული თვითმფრინავის გამო რუსებს ბოდიში მოუხადეთო. სიფრთხილეს იჩენენ აგრეთვე უზბეკეთისა და თურქმენეთის ლიდერებიც.

— ასე რომ, თურქეთს აზერბაიჯანსა და შუა აზიაში რუსული გავლენის განეიტრალება მოუწევს, ეს კი ძლიერი მოკავშირის გარეშე შეუძლებელია, — თვლის 112-ე არხი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

სერტიფიცირებული კოსმეტოლოგი მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## მკურნალობა

● მიკროსაფინანსოთა საყურადღებოდ! მეტრო „ახმეტელთან“, ხალხმრავალ ადგილას, ხიზანიშვილის ქუჩაზე, I სართულზე ქირავდება ამავე პროფილით მომუშავე ახალგარემონტებული ფართი 18+14 კვადრატული მეტრი, საკუთარი სველი წერტილებით. გამქირავებლისთვის უმჯობესია პროფილის (და რემონტის!!!) შენარჩუნება. ტელ: 599-94-51-82; 591-68-90-20.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ — ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● ქირავდება 3 ოთახიანი ბინა ცოტნე დადიანზე, მიშენებით, ევრორემონტით, ავეჯით, ტექნიკით, გარაჟით, სათავსოებით. ფასი 300. ტელ.599512607. 577779704.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ფეხბურთის ფედერაციამ საუკეთესოები დააჯილდოვა

თბილისის საკრებულოში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2015 წლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. ეს ღონისძიება გასული წლის ბოლოს იყო დაგეგმილი, მაგრამ გადადება მოუწია – ფეხბურთის ფედერაციამ პატივი მიაგო დავით პეტრიაშვილის გარდაცვალებას და საზეიმო ღონისძიება აღარ გამართა.

პეტრიაშვილი ახლაც გაიხსენეს – საზეიმო ცერემონიალის დაწყებამდე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო მის ხსოვნას.

სფფ-მ გასულ წლებთან განსხვავებით, კიდევ ორი ნომინაცია დაამატა. პირველად მოხდა, რომ დაჯილდოვდნენ საუკეთესო ქალი ფეხბურთელი და საუკეთესო მსაჯი. მათ გარდა, გამარჯვებულები კიდევ ოთხ ნომინაციაში გამოვლინდნენ: საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი, საუკეთესო მწვრთნელი, ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი.

გამოკითხვაში უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების მთავარი მწვრთნელები, კაპიტნები, ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მთავარი მწვრთნელები და 13 რეგიონული ფედერაცია მონაწილეობდნენ.

**საუკეთესო მსაჯი:** ფიფას კატეგორიის მსაჯი გიორგი ვადაჭკორია გახდა, ნომინაციაში მას კონკურენციას უწევდნენ ლაშა სილაგავა (ფიფას კატეგორიის მსაჯი) და გოგა კიკაჩეიშვილი (ეროვნული კატეგორიის მსაჯი);

**საუკეთესო მწვრთნელი:** ეს ტიტული თბილისის დინამოს თავკაც გია გეგუჩაძეს ერგო, რომელიც ახლა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელია. მისი კონკურენტები იყვნენ უჩა სოსიაშვილი (გორის დილა) და ვარლამ კილასონია (ბოლნისის სიონი);

**საუკეთესო ქალი ფეხბურთელი:** პირველი ჯილდოს მფლობელი ყაზახური ბიიკ კაზიგურტის ფეხბურთელი გულნარა გაბელია გახდა. პირველი ჯილდოს მოსაპოვებლად ასევე იბრძოდნენ საქართველოს ნაკრების მეკარე თამარ ნადირაშვილი და თურქული ადანას შემტევი ლელა ჭიჭინაძე;

**საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი:** ამჯერად ეს პრიზი თბილისის დინამოს ნახევარმცველ ოთარ კიტეიშვილს ერგო, რომლის კონკურენტები ასევე თბილისის დინამოელი მათე ცინცაძე და ცხინვალიდან როსტოვში ახლახან გადასული ნიკა კაჭარავა იყვნენ;

**ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი:** ისევ თბილისის დინამოელი, ამჯერად ალექსანდრე იაშვილი ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. იაშვილს კონკურენტობას თანაგუნდელი გიორგი ქვილითაია და გდილას შემტევი ოთარ მარცვალაძე უწევდნენ;

**საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი:** ყველაზე პრესტიჟული პრიზის მფლობელი საქართველოს ნაკრების კაპიტანი, ფრანგული რეიმსის ნახევარმცველი ჯაბა კანკავა გახდა. ნომინაციაში საუკეთესო სამეულში მოხვდნენ ვაკო ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია) და სოლომონ კვერკველია (რუბინი, რუსეთი).

ფედერაციამ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომაც 10.000-10.000 ლარი გადასცეს მძიმე მდგომარეობაში მყოფი 23 წლის ფეხბურთელის კოტე ზარნაძის ოჯახს. მას მწვავე მიელოიდური ლეიკოზი დაუდგინეს და გადაუდებელი ოპერაცია სჭირდება, რომელიც თურქეთში ჩაუტარდება.

სფფ-ის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა განვლილი წელი მოკლედ შეაჯამა და არც ფედერაციის წინა ხელმძღვანელობის გაწეული შრომა დავიწყებია, მათ მადლობა გადაუხადა გაწეული სამუშაოებისთვის. აღნიშნა წარმატებები ასაკობრივი ნაკრებებისა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გავიდნენ. ასევე თქვა უეფას სუპერთასის მატჩზე და კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტით, რომ ასეთი რანგის მატჩი თბილისში გაიმართა.




სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა განაცხადა, რომ ფედერაციას მზად აქვს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც 25 წლის განმავლობაში ვერ ველირსეთ. ხეჩიკაშვილმა დააანონსა, რომ პროგრამას გაეცნო და ეთანხმება, ხოლო თებერვალში, ალბათ, მთავრობის სხდომაზე გავა საკითხი და პროგრამაც დამტკიცდება.

# ბათუმი ისევ ერთპიროვნულად ლიდერობს

**დინამო – ბათუმი 60:80**
**(11:10; 18:28; 11:19; 20:23)**

ტურის ცენტრალურ მატჩში გათამაშების ლიდერმა ბათუმმა მე-3 ადგილზე მყოფი დინამო 20 ქულის სხვაობით – 80:60 დაამარცხა და პირველი ადგილი გაიმყარა.

არადა, შეხვედრის დებიუტში ძნელი სათქმელი იყო, რომ ბათუმელები ასე იოლად იმარჯვებდნენ. დინამოელთა ახალწვეულმა ჯუევალ მაილსმა სადებიუტო 5 წუთში 8 ქულა მიითვალა და თბილისურმა გუნდმა პირველი პერიოდი 11:10 მოიგო. ბათუმელებმა მეორე 10-წუთეულში თამაში



დაალაგეს და გამართული თამაშის წყალობით დიდ შესვენებაზე 9-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ – 38:29.

შესანიშნავად თამაშობდა ბათუმელთა უკრაინელი ლეგიონერი ლეონიდ სტეპანიშინი, რომელიც მოედნის სიღრმიდან დიდ საფრთხეს უქმნიდა დინამოელებს, ხოლო აკაკი დვალიშვილი ფარქვეშ შედეგიანი თამაშით ქულას ქულაზე იხვეჭდა.

დიდი შესვენების შემდეგ ბათუმელებმა მოპოვებული უპირატესობა არათუ შეინარჩუნეს, კიდევ უფრო გაზარდეს, დინამოელებმა კი ამაში სტუმრებს ხელი ვერ შეუშალეს და საბოლოოდ 20-ქულიანი სხვაობაც დაფიქსირდა.

გამარჯვებულთაგან 20 ქულით ბომბარდირი სტეპანიშინი გახდა, ხოლო აკაკი დვალიშვილმა 17 ქულითა და 12 მოხსნით ორმაგი დუბლი გაიფორმა. დინამოელთაგან 15 ქულით ნოდარ გოგოძე გამოირჩა, ხოლო ებრიუ მაკალპიმ 11 ქულა და ამდენივე მოხსნა მოაგროვა.

**მგზავრები – ქუთაისი 65:77**
**(11:11; 17:25; 19:12; 18:29)**

მიმდინარე სეზონი ამ გუნდებმა გამარჯვებები გაიყვეს და, აქედან გამომდინარე, მატჩს მეტი ინტერესი ჰქონდა.

პირველი მეოთხედის შემდეგ ლიდერი ვერ გამოიკვეთა. 11:11 დასრულებული პერიოდის შემდეგ მცირე უპირატესობას ქუთაისელები დაეუფლნენ, რომელთა შორისაც ბექა ბექაური და დავით ბარბაქაძე გამოირჩეოდნენ. მეორე მეოთხედი იმერულმა კლუბმა 25:17 მოიგო და დიდ შესვენებაზე ხელჩასაჭიდი უპირატესობით გავიდა.

ახალგაზრდა კახა ჯინჭარაძისა და ამერიკელი ლეგიონერების – რეჯი მერფისა და კაშიმ რენსომის ძალისხმევით მგზავრებმა მესამე პერიოდში აჯობეს ქუთაისელებს და ბოლო პერიოდის დაწყებამდე ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს – 47:48. გადამწყვეტი აღმოჩნდა ბოლო პერიოდი, რომელშიც ქუთაისელებმა დამაჯერებელი თამაშით გამარჯვების მოპოვება შეძლეს.

იმერულ გუნდს 18 ქულითა და 13 მოხსნით ბექაურმა ულიდერა, დავით ბარბაქაძის ანგარიშზე კი 16 ქულა დაგროვდა. კაშიმ რენსომმა მგზავრებს 17 ქულა მიაშველა, მერფიმ კი ორმაგი დუბლი გაიფორმა – 12 ქულა, 14 მოხსნა.

**სოხუმი – რუსთავი 75:81**
**(19:17; 17:17; 23:22; 22:19)**

ამ მატჩში სოხუმელები წინ არ გასულან. მატჩში სამჯერ იყო ფრე (2:2, 36:36, 69:69), ხოლო რუსთაველთა ყველაზე დიდი ლიდერობა მე-13 წუთისთვის დაფიქსირდა – 27:17. დანარჩენი დრო სოხუმი კუდში მისდევდა ქვემოქართლელებს და თამაშის მოგების შანსს ბოლომდე ინარჩუნებდა.

ზემოთ ხსენებულ თანაბარი ანგარიშის (69:69) შემდეგ, რომელიც მატჩის დასრულებამდე 3,30 წუთით ადრე დაფიქსირდა, რუსთაველებმა ტემპთან ერთად სიზუსტეს უმატეს და მიხეილ ჭოჭუას, დევიდ კაილსისა და ნიკოლა გაჩეშას შედეგიანობით თამაშის დამთავრებამდე წუთი და 20 წამით ადრე 77:71 დაწინაურდნენ. მატჩის ბედიც აქ გადაწყდა. რუსთაველებმა, რომლებმაც მიმდინარე სეზონის ორივე აქამდე გამართული შეხვედრა წააგეს სოხუმთან, მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს.

რუსთავის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა რევაზ ჩაჩანიძეს, რომელმაც 6 სამქულიანი ჩააგდო და მთლიანობაში 20 ქულა მოაგროვა. სოლიდური იყო ფარქვეშ ამერიკელი ცენტრი კაილ ტურპინი, რომელმაც მიხეილ ჭოჭუას მსგავსად 16 ქულა მოაგროვა. 14 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა შეხვედრა სერბმა ნიკოლა გაჩეშამ, ხოლო სოხუმელთაგან 26 ქულით საუკეთესო იყო ფილიპ მილერი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბათუმი | 15 | 11 | 4 | 1165:1088 | 26 |
| 2.ქუთაისი | 15 | 10 | 5 | 1150:1078 | 25 |
| 3.დინამო | 15 | 9 | 6 | 1061:1028 | 24 |
| 4.მგზავრები | 15 | 8 | 7 | 1091:1136 | 23 |
| 5.სოხუმი | 15 | 7 | 8 | 1155:1073 | 22 |
| 6.რუსთავი | 15 | 6 | 9 | 1118:1152 | 21 |
| 7.ოლიმპი | 14 | 6 | 8 | 1019:1030 | 20 |
| 8.აკადემია | 14 | 2 | 12 | 1007:1181 | 16 |

# შედეგები

## 30 იანვარი

### ფეხბურთი

**აფრიკის ერთა თასი. პლეი ოფი**

რუანდა-დ.კონგო ................... 1:2(დდ)
კამერუნი-კოტ დივუარი ........ 0:3(დდ)

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

კოლჩესტერი-ტოტენჰემი .............. 1:4
არსენალი-ბარნლი ........................ 2:1
ასტომ ვილა-სიტი ......................... 0:4
ბოლტონი-ლიდსი ......................... 1:2
ბერი-ჰალი .................................. 1:3
კრ.პალასი-სტოკი ......................... 1:0
ნოტინგემი-უოტფორდი ................ 0:1
ოქსფორდი-ბლექბერნი ................ 0:3
პორთსმუთი-ბორნმუთი ................ 1:2
რედინგი-უოლსოლი ...................... 4:0
შრისუბერი-უენსდი ...................... 3:2
ვესტ ბრომვიჩი-პიტერბრო ........... 2:2
ლივერპული-ვესტ ჰემი ................. 0:0

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბრისტოლი-ბირმინგემი ................ 0:0
ჰადერსფილდი-კარდიფი .............. 2:3
როტერჰემი-ჩარლტონი ................ 1:4

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბარსელონა-ატლეტიკო ................ 2:1
ეიბარი-მალაგა ............................ 1:2
ხეტაფე-ბილბაო ........................... 0:1
ვილიარეალი-გრანადა ................. 1:0
სოსიედადი-ბეტისი ...................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 16 | 3 | 2 | 54-17 | 51 |
| 2.ატლეტიკო | 22 | 15 | 3 | 4 | 31-10 | 48 |
| 3.რეალი | 21 | 13 | 5 | 3 | 58-20 | 44 |
| 4.ვილიარეალი | 22 | 13 | 5 | 4 | 29-18 | 44 |
| 5.ბილბაო | 22 | 10 | 4 | 8 | 33-30 | 34 |
| 6.სელტა | 21 | 10 | 4 | 7 | 32-33 | 34 |
| 7.ეიბარი | 22 | 9 | 6 | 7 | 35-28 | 33 |
| 8.სევილია | 21 | 9 | 6 | 6 | 28-22 | 33 |
| 9.დეპორტივო | 21 | 6 | 11 | 4 | 28-25 | 29 |
| 10.მალაგა | 22 | 7 | 6 | 9 | 18-20 | 27 |
| 11.ხეტაფე | 22 | 7 | 5 | 10 | 26-32 | 26 |
| 12.ვალენსია | 21 | 5 | 10 | 6 | 26-22 | 25 |
| 13.სოსიედადი | 22 | 6 | 6 | 10 | 26-34 | 24 |
| 14.ესპანიოლი | 21 | 6 | 4 | 11 | 20-35 | 22 |
| 15.ბეტისი | 22 | 5 | 7 | 10 | 15-31 | 22 |
| 16.გრანადა | 22 | 5 | 5 | 12 | 24-44 | 20 |
| 17.რაიო | 21 | 5 | 4 | 12 | 26-45 | 19 |
| 18.ლას პალმასი | 21 | 4 | 6 | 11 | 21-33 | 18 |
| 19.ხიხონი | 20 | 5 | 3 | 12 | 22-35 | 18 |
| 20.ლევანტე | 21 | 4 | 5 | 12 | 20-38 | 17 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ვალიდოლიდი ........... 0:0
კორდობა-ლეგანესი ..................... 2:3
უესკა-ალბასეტე .......................... 3:1
ლიაგოსტერა-ლუგო ..................... 0:0
ოვიედო-ალავესი ......................... 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-ინგოლშტადტი ........ 2:0
ლევერკუზენი-ჰანოვერი .............. 3:0
აუგსბურგი-აინტრახტი ................ 0:0
ვერდერი-ჰერტა ........................... 3:3
დარმშტადტი-შალკე .................... 0:2
შტუტგარტი-ჰამბურგი ................. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 18 | 16 | 1 | 1 | 48-9 | 49 |
| 2.დორტმუნდი | 19 | 14 | 2 | 3 | 52-24 | 44 |
| 3.ჰერტა | 19 | 10 | 4 | 5 | 29-21 | 34 |
| 4.ლევერკუზენი | 19 | 9 | 4 | 6 | 29-21 | 31 |
| 5.შალკე | 19 | 9 | 3 | 7 | 26-26 | 30 |
| 6.გლადბახი | 19 | 9 | 2 | 8 | 35-34 | 29 |
| 7.მაინცი | 19 | 8 | 3 | 8 | 24-24 | 27 |
| 8.ვოლფსბურგი | 18 | 7 | 5 | 6 | 28-24 | 26 |
| 9.კიოლნი | 18 | 6 | 6 | 6 | 19-24 | 24 |
| 10.ინგოლშტადტი | 19 | 6 | 5 | 8 | 12-20 | 23 |
| 11.ჰამბურგი | 19 | 6 | 4 | 9 | 21-27 | 22 |
| 12.აუგსბურგი | 19 | 5 | 6 | 8 | 21-26 | 21 |
| 13.აინტრახტი | 19 | 5 | 6 | 8 | 24-30 | 21 |
| 14.დარმშტადტი | 19 | 5 | 6 | 8 | 19-29 | 21 |
| 15.შტუტგარტი | 19 | 6 | 3 | 10 | 27-39 | 21 |
| 16.ვერდერი | 19 | 5 | 4 | 10 | 23-36 | 19 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 18 | 2 | 8 | 8 | 18-26 | 14 |
| 18.ჰანოვერი | 19 | 4 | 2 | 13 | 19-34 | 14 |

**იტალია. სერია ა**

კარპი-პალერმო ........................... 1:1
ატალანტა-სასუოლო ................... 1:1
რომა-ფროზინონე ....................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 21 | 14 | 5 | 2 | 45-18 | 47 |
| 2.იუვენტუსი | 21 | 14 | 3 | 4 | 38-15 | 45 |
| 3.ფიორენტინა | 21 | 13 | 2 | 6 | 39-21 | 41 |
| 4.ინტერი | 21 | 12 | 5 | 4 | 26-14 | 41 |
| 5.რომა | 22 | 10 | 8 | 4 | 40-25 | 38 |
| 6.მილანი | 21 | 9 | 6 | 6 | 29-25 | 33 |
| 7.სასუოლო | 22 | 8 | 9 | 5 | 26-24 | 33 |
| 8.ემპოლი | 21 | 9 | 5 | 7 | 27-26 | 32 |
| 9.ლაციო | 21 | 9 | 4 | 8 | 29-30 | 31 |
| 10.კიევო | 21 | 7 | 6 | 8 | 27-26 | 27 |
| 11.ატალანტა | 22 | 7 | 6 | 9 | 22-25 | 27 |
| 12.ტორინო | 21 | 7 | 5 | 9 | 27-28 | 26 |
| 13.ბოლონია | 21 | 8 | 2 | 11 | 24-27 | 26 |
| 14.პალერმო | 22 | 7 | 4 | 11 | 24-35 | 25 |
| 15.უდინეზე | 21 | 7 | 3 | 11 | 19-35 | 24 |
| 16.ჯენოა | 21 | 6 | 5 | 10 | 24-27 | 23 |
| 17.სამპდორია | 21 | 6 | 5 | 10 | 31-36 | 23 |
| 18.კარპი | 22 | 4 | 7 | 11 | 21-37 | 19 |
| 19.ფროზინონე | 22 | 4 | 4 | 14 | 23-48 | 16 |
| 20.ვერონა | 21 | 0 | 10 | 11 | 14-33 | 10 |

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-ლივორნო ......................... 1:3
ჩეზენა-ასკოლი ........................... 3:0
კომო-ვიჩენცა ............................. 1:1
კროტონე-პერუჯა ........................ 1:2
ლანჩანო-ტრაპანი ....................... 0:3
ლატინა-პრო ვერჩელი ................. 1:0
პესკარა-ბარი .............................. 3:1
ტერნანა-მოდენა ......................... 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ანჟერი-მონაკო ............................ 3:0
ტრუა-ნანტი ................................. 0:1
ლორიანი-რეიმსი ......................... 2:0
გაზელეკი-მონპელიე ................... 0:4
ბასტია-ლიონი ............................. 1:0
ტულუზა-გენგამი ......................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 22 | 19 | 3 | 0 | 56-10 | 60 |
| 2.მონაკო | 23 | 10 | 9 | 4 | 33-28 | 39 |
| 3.ანჟე | 23 | 10 | 7 | 6 | 24-18 | 37 |
| 4.ნიცა | 22 | 10 | 6 | 6 | 37-26 | 36 |
| 5.რენი | 22 | 8 | 10 | 4 | 32-25 | 34 |
| 6.სტ.ეტიენი | 22 | 10 | 3 | 9 | 25-25 | 33 |
| 7.კაენი | 22 | 10 | 3 | 9 | 24-28 | 33 |
| 8.ნანტი | 23 | 8 | 8 | 7 | 21-22 | 32 |
| 9.მარსელი | 23 | 7 | 10 | 6 | 33-24 | 31 |
| 10.ლიონი | 23 | 8 | 6 | 9 | 28-27 | 30 |
| 11.ლორიანი | 23 | 7 | 9 | 7 | 32-32 | 30 |
| 12.ბორდო | 22 | 7 | 9 | 6 | 27-30 | 30 |
| 13.ბასტია | 23 | 8 | 4 | 11 | 22-27 | 28 |
| 14.გენგამი | 23 | 7 | 6 | 10 | 22-30 | 27 |
| 15.ლილი | 23 | 5 | 11 | 7 | 18-19 | 26 |
| 16.გაზელეკი | 23 | 6 | 8 | 9 | 24-31 | 26 |
| 17.მონპელიე | 23 | 7 | 4 | 12 | 27-29 | 25 |
| 18.რეიმსი | 23 | 5 | 8 | 10 | 23-32 | 23 |
| 19.ტულუზა | 23 | 4 | 8 | 11 | 25-41 | 20 |
| 20.ტრუა | 23 | 1 | 8 | 14 | 16-45 | 11 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-ლანსი ........................... 2:0

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ვიტესი-ექსელსიორი ................... 0:0
პსვ-გრააფსხაპი .......................... 4:2
ზვოლე-გრონინგენი .................... 1:3
ნაიმეგენი-ალკმაარი ................... 0:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

გიმარაეში-მადეირა ..................... 3:1
ეშტორილი-პორტუ ...................... 1:3
სპორტინგი-აკადემიკა ................. 3:2

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

დანდი-მოზერველი ..................... 2:2
კილმანროკი-ჰამილტონი ............ 0:1

**ბელგია. პროლიგა**

ლეუვენი-სტანდარდი .................. 0:2
შარლერუა-მეხელენი .................. 3:2
ვესტერლო-ვარეგემი ................... 1:2
გენკი-კორტრაიკი ........................ 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-კალონი .............. 1:0
პანთრათიკოსი-პანიონიოსი ....... 0:1
პაოკი-ატრომიტოსი .................... 1:1

### ჩოგბურთი

**ავსტრალიის ღია პირველობა**
**ქალები – ფინალი**

ს.უილიამსი-კერბერი .......... 4:6;6:3;4:6

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ილიას ზუროსი საქართველოში იმყოფება

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელობის კანდიდატი, ბერძენი სპეციალისტი ილიას ზუროსი თბილისში იმყოფება და ახალ სპორტის სასახლეში სუპერლიგის მატჩებსაც დაესწრო.



ზუროსისა და საქართველოს ნაკრების შესაძლო თანამშრომლობაზე ადრეც ვწერდით, მაგრამ ჯერ გარკვეული არაფერია. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სადღეისოდ მთავარი კანდიდატია. ზუროსი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მიხეილ გაბრიჩიძესთან და ვიცეპრეზიდენტ ვლადიმერ ბოისასთან ერთად მივიდა დარბაზში.

49 წლის ბერძენი სპეციალისტი ბოლოს თურქულ ტოფაშს წვრთნიდა, უმუშავია საბერძნეთის ეროვნული გუნდშიც, თუმცა არცთუ წარმატებულად – მისი ხელმძღვანელობით ბერძნებმა 2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშეს და 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზური ვერ მოიპოვეს.

ჰქონდა წარმატებული პერიოდიც – 2010 წელს ზუროსი ევროთასების წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს, როდესაც ბერძნული პანელინიოსის მთავარი მწვრთნელი იყო.

# ავსტრალია კერბერმა მოიგო

სენსაციურად დასრულდა ავსტრალიის ღია პირველობის ქალთა ტურნირის ფინალი – გერმანელმა ანგელიკა კარბერმა 6:4; 3:6; 6:4 დაამარცხა სერენა უილიამსი.



უილიამსი მსოფლიოს პირველი ჩოგანია და გასულ წელს ეს ტურნირი ჰქონდა მოგებული. მიმდინარე გათამაშებაშიც ფინალამდე ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე მივიდა, მაგრამ უკეთესად მოთამაშე კერბერთან ვერაფერი გააწყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ 28 წლის გერმანელმა ჩოგბურთელმა, რომელიც რეიტინგში მე-6 ჩოგანია, პირველად ითამაშა დიდი სლემის ტურნირის ფინალში და რა გასაკვირია, რომ უილიამსთან მის მოგებას არავინ ფიქრობდა, მაგრამ კარბერმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა და პირველი დიდი ტიტულიც მიიღო.

# ფაჩულია ორმაგი დუბლით დაბრუნდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე არასრული 30 წუთი გაატარა. ქართველმა ფორვარდმა 10-დან 5 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა. საბოლოოდ თორნიკეს ანგარიშზე 11 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა დაგროვდა.

5 ტურის შემდეგ 3 მოგებით შენგელიას გუნდი ჯგუფში 2-4 ადგილებს ცსკა-სთან და მადრიდის რეალთან იყოფს. სწორედ სამეფო გუნდი იქნება ლაბორალ კუჩას მასპინძელი 5 თებერვალს.

ევროლიგაშივე დასანანი მარცხი განიცადა მანუჩარ მარკოიშვილის დარუშაფაკამ. სტამბოლელები ათენში პანათინაიკოსს შეხვდნენ და მატჩი დაძაბულ ბრძოლაში ბოლო წამებზე დათმეს – 79:82.

მარკოიშვილი სასტარტო ხუთეულში იყო და 28 წუთი ითამაშა. მანუჩარმა 5 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და თითო ჩაჭრა-დაფარება დააგროვა.

დარუშაფაკა 5 ტურის თავზე მოუგებლად რჩება და ჯგუფის უპირობო აუტსაიდერია. თურქული კლუბი ევროლიგაში მომდევნო მატჩს 4 თებერვალს შინ ცრვენა ზვეზდასთან ჩაატარებს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ასტროპროგნოზი

## 1 თებერვლისათვის



**ვერძი** – შეცდომის აღიარების არ შეგეშინდეთ. საქმიან პარტნიორს იოლად ნუ მიენდობით. რეალობას თვალი გაუსწორეთ. **კურო** – ჰარმონიული და გაწონასწორებული დღეა. ძალიან მოგიხდებათ ფიზიკური დატვირთვა, ფიტნესი, ცურვა. დღის მეორე ნახევარში თამამად შეუდექით ჩანაფიქრის განხორციელებას. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. **ტყუპები** – სანამ დროა, იზრუნეთ დაშვებული შეცდომის გამოსწორებაზე. შენიშვნას ნუ დაიმსახურებთ. **კირჩხიბი** – თქვენი ეჭვიანი ბუნება ხელს გიშლით ყველაზე რეალური გეგმების განხორციელებაშიც კი. იყავით უფრო მიმნდობი და გჯეროდეთ ადამიანების. **ლომი** – მოულოდნელად ყველაფერი იცვლება. იოლად ნურავის მიენდობით, დიდია მოტყუების ალბათობა. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. ფინანსებს გაუფრთხილდით. დაპირებების გაცემისგან თავი შეიკავეთ. **ქალწული** – თქვენთვის კარგი პერიოდი დადგა. სწორ გზას ადგახართ. მოახდინეთ მთელი ძალების კონცენტრაცია და ნებისმიერი საქმე წარმატებით დაგვირგვინდება. **სასწორი** – პასიური დღეა. ერიდეთ საქმიან კონტაქტებს. შეეცადეთ, ნებისმიერი უსიამოვნება ფილოსოფიურ ჭრილში განიხილოთ. **ღრიანკალი** – ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. დღეს მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. შეცდომებისგან დაზღვეული არ ხართ. ნუ გადაიღლებით. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **მშვილდოსანი** – გადაწყვეტილება დამოუკიდებლად, სხვების ჩარევის გარეშე მიიღეთ. იოლად ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით. **თხის რქა** – მშვიდი და გაწონასწორებული დღეა, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ, დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეოროთ. მეტი ყურადღება ოჯახის წევრებსა და შინაურ ცხოველებს დაუთმეთ. **მერწყული** – პროფესიული საქმიანობისას ძველ, ნაცად ხერხს მიმართეთ. მეტი დრო სასიყვარულო ურთიერთობას დაუთმეთ. **თევზები** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე მოთმინებით აკეთეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# მაიკროსოფტის დამაარსებლის იახტამ მარჯნის რიფი დააზიანა

მდიდრული იახტის ეკიპაჟმა, რომელიც კორპორაცია მაიკროსოფტის ერთ-ერთ დამფუძნებელ პოლ ალენს ეკუთვნის, ღუზით მარჯნის რიფი დაანგრია კარიბის ზღვაში მდებარე კაიმანის კუნძულებთან. ამ ინფორმაციას ადგილობრივი სააგენტოები კუნძულის გარემოს დაცვის დეპარტამენტზე დაყრდნობით ავრცელებენ.



ინციდენტი მიმდინარე თვის დასაწყისში კუნძულ დიდი კაიმანის ყურეში ვესტბეიში მოხდა, რომელიც დრაივერებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. იახტის ღუზის ჯაჭვმა 1,3 ათასი კვადრატული მეტრის ფართობი ანუ მარჯნის რიფის 80 პროცენტი დააზიანა.

ალენის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც იახტის ეკიპაჟს აცნობეს რიფის დანგრევის საფრთხის შესახებ, მან საკუთარი ინიციატივით ოპერატიულად გადაიყვანა იახტა სხვა ადგილას. ადგილობრივი პრესის ცნობით, მილიარდერს, რომელიც ინციდენტის დროს საკუთარ იახტაზე არ იმყოფებოდა, ჯარიმის სახით 600 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. თავად რიფის დაზიანებისგან მიყენებული ზარალი ჯერ დაანგარიშებული არ არის.

# მომღერალი მეზობლებს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ეგონათ

ოჯახური ძალადობის ფაქტზე გამოძახებულ ამსტერდამელ პოლიციელებს ადგილზე მამაკაცი დახვდათ, რომელსაც ყურსასმენები ეკეთა და ოპერის არიას ასრულებდა.



კურიოზული შემთხვევა ოთხშაბათ ღამით მოხდა, როდესაც მრავალბინიანი სახლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა „საშინელი ყვირილის ხმა“ გაიგონა, რომელიც მეზობლის ბინიდან გამოდიოდა. მან გადაწყვიტა, სამართალდამცავები გამოეძახებინა, ვინაიდან იფიქრა, რომ ვიღაცას სცემდნენ.

შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ასევე შემოესმათ „საშინელი“ ხმები, რომელიც ბინიდან გამოდიოდა და კარი შეამტვრიეს, მაგრამ შიგნით შესულებს მამაკაცი დახვდათ, რომელიც მუსიკას ხმას აყოლებდა, რომელსაც ყურსასმენებით უსმენდა. გაუგებრობის გამომწვევი მამაკაცი ბინაში მარტო იმყოფებოდა.

გავრცელებული ინფორმაციის ამ ინციდენტის ყველა მონაწილემ ბოლოს ბევრი იცინა.

# უელსში გასვენებაზე პორნოფილმი ჩართეს

უელსის დედაქალაქ კარდიფში გარდაცვლილ საიმონ ლუისისა და მისი ახლადდაბადებული შვილის საიმონ ლუის-უმცროსის დასაფლავების დროს ჭირისუფალთა წინაშე დიდ ეკრანზე შეცდომით პორნოგრაფიული ფილმი გაუშვეს. ვიდეორგოლის გამორთვა, რომელსაც ხმოვანი გაფორმებაც ახლდა, ოთხი წუთის განმავლობაში ვერ მოხერხდა.

უელსელი მამა-შვილი ავტოკატასტროფაში ახალი წლის დღეებში დაიღუპა. ტრაგიკული შემთხვევის დროს მანქანაში 33 წლის ლუისის მეუღლე და გოგონაც იმყოფებოდნენ, რომლებიც, საბედნიეროდ, გადარჩნენ.



დასაფლავების ცერემონიას ასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა.

– ღვთისმსახური საიმონის ვიდეოს ჩართვას აპირებდა, მაგრამ მის ნაცვლად ეკრანზე პორნოგრაფიული ფილმი გამოჩნდა. ღვთისმსახურმა მაინც მოახერხა მოულოდნელი სიტუაციიდან გამოსვლა. მან კარდიფის საბჭოს სახელით ბოდიში მოიხადა მომხდარის გამო და განაცხადა, რომ 30-წლიანი მუშაობის განმავლობაში მსგავს სიბინძურესთან შეხება არ ჰქონია, – განაცხადა ერთ-ერთმა სტუმარმა.

ცნობილია, რომ დამკრძალავი ბიუროს არცერთ თანამშრომელს არ ჰქონდა ტელევიზორის ეკრანთან ჩართვის ტექნიკური საშუალება.

კარდიფის საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მომხდარის გამოძიება ჩატარდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ნუცა ბუზალაძე თურქულ „ვოისს“ გამოეთიშა

ქართველი მომღერალი ნუცა ბუზალაძე თურქულ „ვოისს“ გამოეთიშა. პროექტის დატოვება მომღერალმა ძალიანაც არ განიცადა, რადგან უამრავი ახალი შეთავაზება მიიღო და, რაც მთავარია, ფანების არნახული რაოდენობა გაიჩინა.



ქართველი მომღერალი თურქ კონკურსანტთან დამარცხდა. ორივე კონკურსანტის სიმღერის შესრულების შემდეგ გამარჯვებული დარბაზში მყოფმა მაყურებელმა პულტებით გამოავლინა.

**ნუცა ბუზალაძე:**

– კი, მართალია, გამოვეთიშე პროექტს! მაგრამ ეს მე ისედაც ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან დამიყენებდნენ ულვაშიან ტიპს და ამღერებდნენ თურქულად...?თურქებს კი, რა თქმა უნდა, თავისიანი მოეწონებოდათ. ასეც მოხდა!! თუმცა, არავინ არ მინდა, რომ ინერვიულოთ! მე არ დავმარცხებულვარ! გამარჯვება ჩემი ისაა, რომ ამხელა ქვეყანაში, სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან მცნობენ და უკვე საკმაოდ ბევრი ფანი გამიჩნდა... მაგრამ ფინალში გადასვლას წყვეტს ხალხი, რომელიც დარბაზში ზის და პულტები უჭირავს ხელში! ესაა ერთადერთი უსამართლობა!

მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს, პლუს ამას ბევრი შემოთავაზება! დაელოდეთ სიახლეებს, კარგ სიახლეებს.

და კიდევ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თურქეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს! მე ვიცი, რომ თქვენ ორმაგად ნერვიულობდით ჩემს ყველა გამოსვლაზე! მე გპირდებით, რომ საამაყო კიდევ ბევრი გექნებათ.

**ეკა ირემაშვილი**

# სკანვორდი



1. ჭრილობა; 2. საფოსტო ნიშანი; 3. შუამდინარეთი; 4. მზის ეგვიპტური ღვთაება; 5. წყვილთა სალონური ცეკვა; 6. ანუკ ...; 7. იგავ-...; 8. საჭმელი სოკო; 9. წრის ნაწილი; 10. უკრაინის პარლამენტი; 11. სპექტაკლის პირველი წარმოდგენა; 12. ესპერანტოს ვარიანტი; 13. პატიმართა შეწყალება; 14. ნოტიო ფქვილი; 15. სალბუნი; 16. დაბალი რანგის დიპლომატი; 17. საბრძოლო მანქანა; 18. ერთგვარი ტანვარჯიში; 19. ფრანგი კომპოზიტორი (1842-1912 წწ.); 20. ბავშვის მეტყველების შეზღუდვა; 21. ბგერის გრაფიკული ნიშანი; 22. ... რობერტსი; 23. პარტია ჩოგბურთში; 24. მჭევრმეტყველების თეორია; 25. ორლესული მახვილი; 26. ქალაქი იტალიაში; 27. ხმადაბლა მუსიკაში; 28. სახოტბო ლექსი; 29. პორტუგალიის დედაქალაქი; 30. ატლანტიკური ქაშაყის ქვესახეობა; 31. ... შარიფი; 32. ლითონის სარქველიანი ჭურჭელი სითხისთვის.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სომხეთი; 2. „ლელო“; 3. დიჯეი; 4. „ხერესი“; 6. ხეჭეჭური; 9. ჟენევა; 13. ზღაპარი; 14. იურმალა; 15. მულინე; 17. ჩაქვი; 18. მტილი; 20. ფიცი.

**თარაზულად:** 1. სალიამი; 5. მესხი; 7. პირინეი; 8. მულიაჟი; 10. ტაიჭი; 12. ნუნისი; 16. ბუხარა; 17. ჩექმა; 19. აული; 21. „ნისანი“; 22. გვარლი; 23. ჩელიტა; 24. ტატამი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჩუღურეთი; 2. კონსული; 3. ხრამი; 4. ვერმელი; 5. „როლექსი“; 10. მირზაანი; 11. კონტრაბასი; 12. აბსურდი; 15. ჰუმანიზმი; 16. ბრეცია; 17. რეტორტა; 20. ოკაპი.

**თარაზულად:** 1. ბურგომისტრი; 7. დესპოტი; 8. ვაიკულე; 9. პეპელა; 13. ფიტი; 14. ხოხობი; 18. მუხამბაზი; 19. „პერიე“; 21. რკალი; 22. მანათი; 23. ტანგანიკა; 24. ტრიგლიტი.



# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ახალი სიცოცხლე დაიწყო



6-წლიანი პაუზის შემდეგ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა ახალი სიცოცხლე დაიწყო. თეატრის წინ გაშლილ წითელ ხალიჩაზე კლასიკური მუსიკის თანხლებით გაიარეს საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა სახეებმა როგორც სამთავრობო, ასევე კულტურული სფეროდან.

განახლებულმა თეატრმა „აბესალომ და ეთერის“ პრემიერა წარმოადგინა. სპექტაკლის დაწყებამდე თეატრის წითელ და ცისფერ დარბაზებში გამოიფინა „გორდასა“ და „აბესალომ და ეთერის“ კოსტიუმები და პარტიტურები, ასევე ოპერისა და ბალეტის თეატრის ისტორიის ამსახველი ექსპონატები.

სპექტაკლ „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმის რეჟისორია გიზო ჟორდანია, მხატვარი – გოგი ალექსი-მესხიშვილი, დირიჟორი – ზაზა აზმაიფარაშვილი, ქორეოგრაფი – ილიკო სუხიშვილი. სპექტაკლის ყველა კოსტიუმი „სამოსელი პირველის“ მიერ შეიკერა. წამყვანი პარტიები შეასრულეს მსოფლიოში აღიარებულმა ქართველმა მომღერლებმა ლადო ათანელმა და თამარ ივერმა, რომლებიც თეატრმა სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის მოიწვია. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ოპერის თეატრის წამყვანი სოლისტები თეიმურაზ გუგუშვილი, არმაზ დარაშვილი, ნიკოლოზ ლაგვილავა, ხათუნა ჭოხონელიძე, თეა დემურიშვილი, ირინა ალექსიძე, მარიკა მაჩიტიძე, ნინო ჩაჩუა, კახა თეთვაძე, გოჩა დათუსანი.

თეატრის შენობის რემონტი 2010 წელს ფონდ „ქართუს“ ფინანსური უზრუნველყოფით დაიწყო. პროექტი ითვალისწინებდა თეატრის სრულ აღდგენით-სარესტავრაციო სამუშაოებს. შენობას ჩაუტარდა შიდა და გარე სარესტავრაციო სამუშაოები, გამაგრდა ფუნდამენტი, სახურავი ფურცლოვანი სპილენძით გადაიხურა, განახლდა და ამავდროულად პირვანდელი სახე შეუნარჩუნდა ოპერის თეატრის ფასადსა და ინტერიერს, სრულიად შეიცვალა სცენის ზედა და ქვედა მექანიზაცია, გაფართოვდა საორკესტრო ორმო; დამონტაჟდა ულტრათანამედროვე ვიდეო, აუდიო, ინტერკომი და განათების სისტემები, სრულიად შეიცვალა შიდა და გარე ქსელები, რესტავრირება გაუკეთდა და ხელახლა მოოქროვდა დარბაზი, თეატრი სრულად აღიჭურვა უმაღლესი კლასის ინსტრუმენტებით, მათ შორის ორი დიდი საკონცერტო სტეინვეის როიალით, სრული რესტავრაცია ჩაუტარდა დარბაზში მაყურებელთა სკამებს, რესტავრაცია ჩაუტარდა ნოდარ ერგემლიძის დიზაინით შექმნილ ავსტრიული ბროლით დამზადებულ 600-ნათურიან ჭაღს. საერთო ჯამში, ჭაღისა და მთლიანად თეატრის განათების სისტემას აკლდა დაახლოებით 12.000 ერთეული ბროლის დეტალი. იმავე მონაცემების ბროლი ფონდმა „ქართუმ“ კომპანია „სვაროვსკისაგან“ შეიძინა. ოპერის თეატრის განათების სისტემაში გამოყენებულ ბროლის ზოგიერთ დეტალს კომპანია აღარ აწარმოებდა, ფონდი „ქართუს“ ძალისხმევით კი მოხდა ამ დეტალების სპეციალური შეკვეთა და დამზადება.

თეატრი სრულად აღიჭურვა ახალი ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით, გადაკეთდა ჯანსუღ კახიძის სახელობის სარეპეტიციო დარბაზი, მოეწყო მცირე სცენა და საორკესტრო ადგილი, თეატრს დაემატა ღია ვერანდები და საგამოფენო სივრცე. მსახიობებისთვის გაკეთდა ახალი საგრიმიოროები, ანტრაქტების დროს დასასვენებელი დარბაზი, თანამშრომლებისათვის აშენდა სასადილო, გაფართოვდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა თეატრის მიმდებარე სკვერს.

თეატრისთვის შეძენილია „პანასონიკის“ ფირმის 2 მძლავრი პროექტორი, რომელიც შეამცირებს სპექტაკლების სადადგმო ღირებულებას. ავსტრიულმა ფირმა „ვაგნერმა“ და სერბეთის ფირმა „სვეტლიოსტმა“ განათებისათვის თანამედროვე პროჟექტორები დაამონტაჟეს, გერმანულმა ფირმა „ზალცბრენერმა“ თეატრი გახმოვანების უახლესი აპარატურით აღჭურვა. დღეისათვის თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენას აქვს ისეთი ტექნიკური შესაძლებლობები, რომლითაც არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიო დონის საუკეთესო ოპერებს. გერმანულ კომპანია „გერიეცში“ სერგო ქობულაძის ესკიზის მიხედვით თეატრის ფარდა დაიბეჭდა.

სარემონტო სამუშაოები 6 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ პროცესში ჩართული იყო „ქართუ ჯგუფის“ ასეულობით თანამშრომელი. სულ ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენა და რესტავრაცია 40 მილიონ დოლარამდე დაჯდა.

**გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ-მინისტრი:**

– ძალიან ემოციური დღეა, ნამდვილად ულამაზესი გამოვიდა ოპერისა და ბალეტის თეატრი. მინდა, მივულოცო საქართველოს და არა მხოლოდ საქართველოს, ყველა მოქალაქეს, ვისთვისაც ძვირფასია ეს კედლები. მინდა, მივულოცო ხელოვნების სფეროს ყველა წარმომადგენელს ეს მართლაც სასიხარულო დღე და მინდა, მივულოცო თბილისს. ასევე მინდა, რომ ყველანაირი პოლიტიკა გვერდზე გადავდოთ. მე, როგორც ერთმა მოქალაქემ, გიორგი კვირიკაშვილმა, მინდა, მივულოცო საქართველოს მოქალაქეს ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ეს ძალიან მნიშვნელოვანი რამ გააკეთა საქართველოსთვის და ეს შენობა აჩუქა ჩვენს ქვეყანას. აქვე მინდა ბოდიში მოვუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ვერ შეძლო და ვერ ესწრება ამ წარმოდგენას. ძალიან ბევრი შესაძლებლობა იქნება კიდევ ასეთი. სიამოვნებით დავუთმობდი ჩემს ადგილს, უბრალოდ, ალბათ, ძალიან ბევრნი არიან და არ მინდა, უაზრო ჟესტი გამომივიდეს.

**მიხეილ გიორგაძე, კულტურის მინისტრი:**

– ეს მოვლენა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, მთელი რეგიონის კულტურულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს. ვულოცავ ყველას, ვისაც უყვარს ოპერა და ბალეტი, ვისაც უყვარს ჩვენი სამშობლო, რადგან ამ უმნიშვნელოვანესმა თეატრმა სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყო.

**დავით კინწურაშვილი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:**

– ეს არის ნამდვილად ისტორიული დღე და ბედნიერები ვართ, რომ ყველანი არიან ჩვენთან. ოპერისა და ბალეტის თეატრში თავიდან დაიწყო შემოქმედებითი ცხოვრება. ჩვენ ვთავაზობთ მაყურებელს საოცარ სეზონს განახლებული სპექტაკლებით როგორც საოპერო, ისე საბალეტო მიმართულებით.

**ნინო ანანიაშვილი, საბალეტო დასის ხელმძღვანელი:**

– ძალიან ბედნიერები ვართ. ყველას ვულოცავ დღევანდელ დღეს. მთელი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ფაქტია, ისევ გაიხსნა ოპერისა და ბალეტის თეატრი. პირველად ვარ ისე, როგორც უფრო სტუმარი, ვიდრე მონაწილე. ველოდებით ყველას, ვისაც უყვარს ოპერის თეატრი.

**თამარ ივერი, საოპერო მომღერალი:**

– საოპერო თეატრის გახსნა არის ძალიან დიდი სავიზიტო ბარათი მთელი ქალაქისთვის. ეს სპექტაკლი მივუძღვენი მამაჩემს, მის ხსოვნას, რადგან ის საოპერო თეატრის სოლისტი იყო და გამზარდა ამ თეატრში 4 წლიდან. მამას ოცნება იყო, რომ თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე მემღერა რაიმე წამყვანი როლი და მე მისი დანაპირები და ოცნება ავასრულე.

**ლადო ათანელი, საოპერო მომღერალი:**

– სასწაული დღეა. მაყურებლის მუხტი ჩვენზე გადმოდიოდა და ჩვენც ვაბრუნებდით ამ ემოციებს ჩვენი სიმღერით. ეს არის დღესასწაული, რომელიც ყველამ უნდა გაიზიაროს.

**გიზო ჟორდანია, რეჟისორი:**

– ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მშვიდობიანად. ულამაზესი იყო სცენა, ჩვენი მომღერლები, მონაწილეები ბრწყინავდნენ. ვულოცავ ყველას.

**ნინო სურგულაძე, საოპერო მომღერალი:**

– ულამაზესია ყველაფერი და ბედნიერი ვარ, რომ განახლებული თეატრის გახსნას ვესწრები. ეს არის უმაღლესი დონის თეატრი, რომელსაც შეუძლია, ყველა სიხარულითა და სითბოთი მიიღოს. ემოციები ამაღლებულია და ყველა ბედნიერია.

**პაატა ბურჭულაძე, საოპერო მომღერალი:**

– ჩვენ გვყავს უმაღლესი დონის მომღერლები და მუსიკოსები. განახლებული „აბესალომ და ეთერის“ წარმოდგენამ ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. მსიამოვნებს, რომ ასეთ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ოპერის თეატრი და ვულოცავ ყველას.

**ნანი ბრეგვაძე, მომღერალი:**

– ცრემლები მადგება თვალზე, კიდევ კარგი, სათვალე მიკეთია. ბედნიერებაა აქ ყოფნა. ეს არის შესანიშნავი დღე. მადლობა იმ ხალხს, ვინც თავისი ენერგია ჩადო ამ უნიკალური თეატრის აღდგენასა და გალამაზებაში.

## გოგი გვახარია ნინო ანანიაშვილს აკრიტიკებს

კინომცოდნე გოგი გვახარია ქართველ პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილს აკრიტიკებს. მისი კრიტიკა განახლებული ოპერისა და ბალეტის თეატრის გახსნაზე მისულ საზოგადოებასთან ერთად, საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელმაც დაიმსახურა.

**გოგი გვახარია:**



– რა მიკვირს, იცით? ნუ, ეს საბჭოთა ბებოები გასაგებია, არ იციან, არ გაუგიათ, რაცხა ლევად იშოვეს კომუნისტების დროს, ის ნორკები შეინახეს და ძლივს გაჩნდა შანსი, ამოეღოთ კარადიდან, შემოეხვიათ მკვდარი ცხოველი...

მაგრამ ანანიაშვილი ნინო რომ გქვია, მთელი მსოფლიო რომ მოვლილი გაქვს, იცი, როგორ დასცინის ყველა ამ კუპეჩესკი სტილს, ჟიზელი რომ გიცეკვია და აგიტირებია დარბაზები, ხომ უნდა გესმოდეს, რომ ამ გაღლეტილ ქვეყანაში მაინც უხერხულია ეს კარნავალი...

ვისაც რა უნდა, ის ჩაიცვას... კი, ბატონო... და ვისაც როგორ უნდა, ისე გაგაშაყიროთ მაშინ...

## სომხები ქართველებს ბოდიშს უხდიან



გასული კვირა განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ქართველი ხელოვანებისთვის, რადგან სომხების მიერ მითვისებული ქართული კულტურის გამომზეურება და მშობლიურად გასაღება მათთვის რადიკალურად მიუღებელი აღმოჩნდა.

გევორქიანის ცეკვის აკადემიის მიერ ფალიაშვილის დაისის სომხურ საქორწილო ცეკვად გამოცხადება კი ის ბოლო წვეთი გახდა, რომელმაც ქართული მხარის აღშფოთება გამოიწვია.

გევორქიანის ცეკვის აკადემიის ხელმძღვანელმა ვართან გევორქიანმა ქართულ მხარეს ოფიციალური წერილი გამოუგზავნა, სადაც მომხდართან დაკავშირებით ბოდიში საჯაროდ მოიხადა:

„ჩემო ძვირფასო ქართველო მეგობრებო!

გთხოვთ, მიიღოთ ეს წერილი, როგორც განმარტება იმ გაუგებრობასთან დაკავშირებით, რომელიც მოჰყვა იუთუბზე ერთ-ერთი ექაუნთის მიერ ატვირთულ ვიდეოს. მნიშვნელოვანია, სიცხადე შევიტანოთ იმაში, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია არანაირი ფაქტობრივი ან იურიდიული კავშირები ამ ექაუნთთან. ამავდროულად, ამ ექაუნთს არ გააჩნდა ოფიციალური ან სიტყვიერი ნებართვა, აეტვირთა ჩვენი მატერიალები.

ჩვენ ოფიციალურად მოვთხოვეთ იუთუბის, რათა ამ ექაუნთთან დაკავშირებით გაასწორონ შეცდომა და ამოიღონ ვიდეოქსელიდან. ასეთივე მოთხოვნა ჩვენ გავუგზავნეთ იუთუბის ადმინისტრაციას და ველოდებით პასუხს.

1987 წელს სომხეთში, ქალაქ ერევანში, ჩამოყალიბდა ეროვნული ქორეოგრაფიული ანსამბლი „დრუჟბა“ (მეგობრობა). მრავალი ქორეოგრაფი სხვა ქვეყნიდან იქნა მოწვეული, რათა მიეცათ საკუთარი ეროვნული ცეკვების გაკვეთილები ანსამბლისთვის. ქორეოგრაფთა შორის იყო ქართველი ქორეოგრაფი, რომელიც იქნა მოწვეული ქართველი კომპოზიტორის, ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ შესრულების მასტერკლასის მიცემისთვის.

2000 წელს, აკადემიის ყოველწლიური კონცერტის დროს, მე ცოლთან ერთად გადავწყვიტე, აუდიტორიისთვის სიურპრიზი გაგვეკეთებინა და შევასრულეთ ეს კონკრეტული ცეკვა, რომლის ვიდეო აიტვირთა ჩვენს იუთუბისა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდებზე.

მე მესმის თქვენი იმედგაცრუების და მინდა გულწრფელი ბოდიში მოვუხადო მესამე მხარეს შეცდომის გამო. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, ეს გაკეთდა ჩვენი თანხმობისა და ინფორმირების გარეშე.

გევორქიანის ცეკვის აკადემია არის ცეკვების საერთაშორისო სკოლა. ჩვენ ვასრულებთ სომხურ, ამერიკულ, რუსულ, მოლდოვურ, ქართულ, ბერძნულ, ებრაულ, ბოშურ და სხვა მრავალ ცეკვას. მე არ მიმაჩნია, რომ ეს სხვა კულტურების ცეკვების მოპარვას ნიშნავს, არამედ ეს არის კარგი გზა მათი კულტურის პრეზენტაციისთვის. ამ წერილთან ერთად მე გიგზავნით ჩვენი გამოსვლების ბანერების/აფიშების ფოტოსურათს, სადაც აღნიშნულია თითოეული ცეკვის წარმომავლობა.

ჩვენ არასდროს გვქონდა სურვილი ან განზრახვა, მოგვეპარა ქართული კულტურის ან რომელიმე სხვა კულტურის ნაწილი და მათი წარმოჩენა სომხური კულტურის ნაწილად.

პატივისცემით, ვართან გევორქიანი, გევორქიანის ცეკვის აკადემია“

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

ორშაბათი
1 თებერვალი

**06.30** მუსიკა I არხზე **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **10.50, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "ფერმა" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "მუსიკოლოგოსი" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის დიდი ბრიტანეთი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ჩემი ადგილი მზის ქვეშ**" **03.00** "პირადი ექიმი" **03.50** "კომუნიკატორი"

**08.00** დ/ფ "ლეტეცია და მისი მგლები" **09.00** მხ/ფ "**გულის მოგზაურობა**" **10.30** დ/ფ "დიდი ბრიტანეთი" **11.00** ქართ. მხ/ფ "**ლაქა**" **12.30** დ/ფ "საფრანგეთი" **13.00** დ/ფ "მონდრეანის სახელოსნოში" **14.00** "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) **15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**კონტრაქტის პირობები**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **1** სერ. **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** იუმორინა **00.00** მხ/ფ "**ნოკაუტი**" (მ.დაგლასი) **01.50** მხ/ფ "**ანგარიშსწორება**" (პ.ჯამატი) **03.45** ერთხელ საქართველოში **04.05** მხ/ფ "**ოლიმპოს დაცემა**" (ა.ეკჰარტი)

**06.30, 19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.45** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **22.00** ქ.მხ/ფ. "**შემთხვევითი პაემნები**" **23.30, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS **8.30, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **9.00** Discovery. ბეკონის შეერთებული შტატები **10.00** ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" **10.30** ჯიდიპედია **11.30** შუადღე **14.00** სერ. "**ჯონათან. სტრეინჯი და მისტერ ნორელი**" **15.00, 19.00** სერ."**ახალი გოგო**". **15.30, 19.30** სერ. "**ცენტრი**" **16.00** Discovery. ბეკონის შეერთებული შტატები **16.30** აირჩიე კაბა **17.00** საქორწილო გარდასახვა **17.30** ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" **20.00** ცოლები და ქმრები **20.30 20.30 22.00** მზარეულები **22.30** ტიფლისი **23.40** მხ/ფ **2.35 ID Extra** დანაშაულები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** დ/ფ "მთასაყდარი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** სპექტაკლი "**ბნელ ოთახში**" **17.35** დ/ფ "ავთანდილ ცოტნიაშვილი" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ხსოვნა**" I სერ. **19.25** თვენი-ღირსი ასურელი მამა ანტონ მარტყოფელი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** დ/ფ "ხომლი ფშავ- ხევსურეთი" IV **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.05, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**კარმელიტა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ჯუნა**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


1 თებერვლისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4719

ევრო — 2.6991

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5338

100 რუსული რუბლი — 3.2488

**ამინდის პროგნოზი 1 თებერვლისთვის**






## კალეიდოსკოპი

### იტალიის ქალაქში 28 წლის შემდეგ პირველად დაიბადა ბავშვი

იტალიის ქალაქ ოსტანაში ბოლო 28 წლის განმავლობაში პირველად დაიბადა ბავშვი. ახალშობილის წყალობით დასახლებული პუნქტის მცხოვრებლების რაოდენობა 85-მდე გაიზარდა. მათგან 41 ოსტანაში მუდმივად ბინადრობს.



– შესანიშნავია, რომ ბოლოს და ბოლოს აქ ვიღაცა დაიბადა, – განაცხადა ქალაქის მერმა ჯაკომო ლომბარდომ. მისი თქმით, ბავშვის დაბადება იმას მოწმობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევა, მოსახლეობის რაოდენობის შემცირება მისი ზრდისკენ შემოაბრუნოს, ნელ-ნელა შედეგს აღწევს.

მერის თქმით, 100 წლის წინ ოსტანა აყვავებული მთიანი რეგიონი იყო, სადაც ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა. ომის შემდგომ წლებში მოსახლეობის რაოდენობამ 700 მცხოვრებამდე დაიკლო და სწრაფად კლებას აგრძელებდა. გასული საუკუნის 80-იან წლებში კი ოსტანაში მუდმივად მხოლოდ ხუთი ადამიანი ცხოვრობდა.

უახლოეს დღეებში ქალაქის მოსახლეობა ახალი მცხოვრების დაბადების საზეიმოდ აღნიშვნას აპირებს. ბავშვის მშობლები არიან ესპანელი ემიგრანტი ხოსე ბერდუგო და იტალიელი ქალბატონი სილვია როვერე.

### ჩე გევარას ბეღელი მუზეუმად გადაიქცა



არგენტინის დასახლება სან-მარტინ-დე-ლოს-ანდრესში მდებარე ბეღელი, სადაც ღამე გაათენა რევოლუციონერმა ერნესტო ჩე გევარამ, მუზეუმად გადაიქცა.

ჩე გევარა ბეღელში ღამის გასათევად 1952 წელს ლათინურ ამერიკაში მოტოციკლეტით მგზავრობის დროს გაჩერდა. მასთან ერთად მოგზაურობდა მისი მეგობარი ალბერტო გრანადო.

ნაგებობის აღდგენა მიზნად ისახავდა უბრალო სოფლური სტილის შენარჩუნებას. ახლად გახსნილ მუზეუმში შეგიძლიათ ნახოთ უიშვიათესი ფოტოსურათები, მულტიმედიური ექსპონატები და სხვა მასალები.

მიმდინარე წლის ივლისში მუზეუმის გვერდით დაიდგმება მოტოციკლეტ ნორტონ 500-ის ასლი. სწორედ ასეთი მოდელით მოგზაურობდა ჩე გევარა გასული საუკუნის 50-იან წლებში.

### თოვლმა პოლონელი მოღვაწის ძეგლი დარტ ვეიდერს დაამსგავსა



პოლონეთის ქალაქ ვეიხეროვოში უხვად მოსულმა თოვლმა იაკუბ ვეიხერის ძეგლი დარტ ვეიდერს დაამსგავსა. ვეიხერი პოლონელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე იყო, რომელიც XVII საუკუნეში მოღვაწეობდა, მის ძეგლი კი მის მიერვე დაარსებულ ქალაქშია აღმართული.

ახლახან ვეიხეროვოში უხვი ნალექი მოვიდა თოვლის სახით, რამაც ძეგლის გარეგნული იერი შეცვალა და ის ფილმ „ვარსკვლავური ომების“ ერთ-ერთ პერსონაჟს დაამსგავსა, ძეგლისთვის გადაღებული ფოტოსურათები კი ინტერნეტში ჰიტად იქცა.

ძეგლის დარტ ვეიდერთან მსგავსება აღიარეს არა მხოლოდ ინტერნეტმომხმარებლებმა, არამედ ქალაქის ხელისუფლებამაც.

### სელფის გადაღების დროს ტურისტი ჭაში ჩავარდა



ინდოეთში მოგზაურობის დროს ავსტრიელი ტურისტი ქალბატონი ინდოეთის ქალაქ ჯუნაგაჯში (გუჯარატის შტატი) სელფის გადაღების მცდელობისას ჭაში ჩავარდა.

ტურისტის ყვირილზე მის დასახმარებლად ადგილობრივი მცხოვრებლები შეიკრიბნენ. მათ თოკი დაამზადეს საკუთარი ტანსაცმლისგან და სელფის მოყვარული ქალბატონი ჭიდან ამოიყვანეს.

სოციალურ ქსელში მოხვდა ტურისტის გადარჩენის მომენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ავსტრიელი ტურისტი მსუბუქად დაშავდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# 2 თებერვლიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ბიტლზი დღიდან დღემდე“




„ბიტლზი“ ყველა დროის უდიდეს პოპჯგუფად ითვლება.

ოთხმა ლივერპულელმა ახალგაზრდამ ერთხელ და სამუდამოდ შეცვალა პოპმუსიკის სახე. მათ შექმნეს მთელი თაობა და მსოფლიოს ყველა კუთხეში მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში შეაბიჯეს.

**„ბიტლზი დღიდან დღემდე“** ასახავს ჯგუფის განუმეორებელ მიღწევებსა და თანამედროვე კულტურაში შეტანილ წვლილს.

მაგარ ყდაში ჩასმული და ცარცის ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი დასურათებულია ჯგუფის ნაკლებად ცნობილი ფოტოებით. მას ახლავს ჩანართები, რომლებიც „ბიტლზის“ გარემოცვის, მათი დროისა და იმ ხელოვანთა შესახებ მოგვითხრობს, გავლენა რომ იქონიეს ჯგუფზე.

**ტერი ბაროუზი** 50-ზე მეტი წიგნის ავტორია. მისი ნაწარმოებები 7 ენაზე ითარგმნა და 10-ზე მეტ ქვეყანაში დაიბეჭდა.

**ფასი გაზეთთან ერთად 17 ლარი**

## ფაჩულია ორმაგი დუბლით დაბრუნდა



სამმატჩიანი შესვენების შემდეგ ზაზა ფაჩულია მოედანს დაუბრუნდა და საკმაოდ შედეგიანადაც. დალას მავერიკსის ქართველმა ცენტრმა გასული შეხვედრები ფეხის ტრავმის გამო გააცდინა, რის შემდეგაც ბრუკლინ ნეთსთან მატჩში დაბრუნდა და თავის გუნდს გამარჯვებაში დაეხმარა.

დალასმა შეხვედრა 91:79 მოიგო, ფაჩულიამ კი ორმაგი დუბლი მითვალა, რაც მისთვის სეზონში რიგით 21-ეა.

ქართველი ცენტრი ბრუკლინთან მატჩში სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 32 წუთი დაყო, რის განმავლობაშიც 16 ქულა, 12 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 10-დან 6 ორქულიანი, ხოლო 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

დალასელთაგან საუკეთესო შედეგი დააფიქსირა ჩანდლერ პერსონსმა, რომელმაც 19 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. ბრუკლინ ნეთსში 28 ქულითა და 12 მოხსნით საუკეთესო იყო ბრუკ ლოპესი, თუმცა ამით მან თავისიანებს ვერ უშველა.

მორიგ მატჩს ფაჩულიას გუნდი დღეს დილით დალასში ფინიქსის წინააღმდეგ გამართავდა.

თორნიკე შენგელიას ლაბორალ კუჩამ ევროლიგაში ზედიზედ მეორე გრანდი დაამარცხა. გასულ ტურში მოსკოვის ცსკა-ს ძლევის შემდეგ ვიტორიელები კატალონიაში ბარსელონას შეხვდნენ და დრამატულ მატჩში 3 ქულით დაამარცხეს. შეხვედრის ბედი ძირითადმა დრომ ვერ გამოავლინა, ხოლო დამატებითი 5-წუთეულის შემდეგ შენგელიას გუნდის გამარჯვება დაფიქსირდა – 81:78.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. პერანგი; 4. ავსტრალიის ბინადარი ჩანთოსანი ცხოველი; 7. ლომების ოჯახი; 9. რისამე დაბეგვრის განაკვეთების ცხრილი; 11. ქამრის ლითონის ენიანი შესაკრავი; 12. ქიმიური ელემენტი; 13. თვითმფრინავების სადგომი; 17. სისხლის შენადედი; 18. ქალაქის „თავი“; 19. ჟანგბადის ნაკლებობა სისხლში; 20. ვულკანური ქანი.

**შვეულად:** 1. ასასვლელ-ჩამოსასვლელი საფეხურებიანი მისადგმელი; 2. მხედველობის ორგანო; 3. გაუშლელი ყვავილი; 5. მინანქარი; 6. მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი წირვა კათოლიკეებში; 8. ღია მსუბუქი ავტომობილი; 10. ლიმფური ჯირკვლების ანთება; 12. ბიზეს ოპერა; 14. წყვილთა ესპანური ცეკვა; 15. დესპოტი; 16. გამის პირველი ძირითადი ბგერა.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**



## იუმორი

●●●

ავტობუსში ახალგაზრდა ქალი ბავშვს ძუძუს აჭმევს. ბავშვი არ ჭამს. დედა ეუბნება:

– ჭამე, თორემ აგერ წინ რომ ბიძია ზის, იმას ვაჭმევ.

ბავშვი მაინც არ ჭამს. დედამ ისევ გაუმეორა:

– ჭამე, თორემ იმ ბიძიას ვაჭმევ.

ასე გამეორდა რამდენჯერმე. ბოლოს კაცმა ველარ მოითმინა და ქალს ეუბნება:

– ქალო, თუ მაჭმევ ძუძუს, მაჭამე, თორემ უკვე ორი გაჩერებით გავცდი ჩემს სახლს.

●●●

რძალთან სტუმრად მისული დედამთილი თითს გადაუსვამს კარადას, კომოდს, პიანინოს, შემდეგ მტვრიან თითს რძალს ცხვირთან მიუტანს და ეუბნება:

– იცი, ამაზე გერმანული ანდაზა მახსენდება: „სისუფთავე ჯანმრთელობის საწინდარია“...

– მე კი ერთი ქართული ანდაზა გამახსენდა, – უპასუხა რძალმა, – ღორი ყველგან იპოვის ჭუჭყს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ამ შაბათს რას აკეთებ?

– მე და ჩემმა ბიჭმა საჰაერო გველი უნდა გავუშვათ და შენ რას აპირებ?

– მეც დაახლოებით იგივეს... სიდედრი მიმყავს აეროპორტში.

●●●

ცოლი სახლში დაბრუნებულ ქმარს ეკითხება:

– საყვარელო, რა მომიტანე საჩუქრად დაბადების დღეს?

– ძვირფასო, საიუველირო მაღაზიები დაკეტილი იყო და მაწონი გიყიდე.

●●●

ცოლი აბაზანაში შეიხედავს და ხედავს, ქმარი წყლით სავსე აბაზანაში ზის და თან ლობიოს შეექცევა. გაკვირვებული ცოლი ეკითხება:

– ძვირფასო, რას აკეთებ?

– ხელს ნუ მიშლი, ჯაკუზს ვამზადებ.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– აი, შენ სულ კულინარიულ გადაცემებს უყურებ, მაგრამ საჭმლის გაკეთება მაინც ვერ ისწავლე.

– მერე რა, შენ სულ პორნოფილმებს უყურებ, მაგრამ...

●●●

სომეხს მეგობარი ეკითხება:

– გავიგე, პაპაშენი ჭკუიდან შეშლილა და შენთვის 10 ათასი დოლარი უჩუქებია. მართალია?

– ჰო, რა, ასეც ხდება.

– ერთი თვით ათასი დოლარი მასესხე, რა.

– შენ რა, არ გესმის, პაპაჩემი შეიშალა, მე კი არა!

●●●

მთვრალი მამაკაცი ცოლს ეუბნება:

– რაიმე დამისხი და დამალევინე.

ცოლმა წვენი დაუსხა.

– ეს რა არის, ახლად გამოწურული მინდა!

ცოლი წვენს იატაკზე დაასხამს, შემდეგ ტილოთი მოამშრალებს, ჭიქაში ჩაწურავს და ეუბნება:

– აჰა, დალიე, ახლად გამოწურულია!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**